# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 2 თებერვალი, 2010 წელი.

№19 (6385)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

## ჩიტირეკია მთავრობის პიარრეკია რეფორმები



გლეხს თავის რჩენა აღარ შეუძლია

6



2

## შეაჩერებს თუ არა ახალი რეფორმა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის რიცხვს?

## პატრიოტები და მოღალატეები

2





ქართული ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლების მხრიდან რუსეთთან დაახლოების სასარგებლოდ გაკეთებული განცხადებების რეალურ მიზეზებზე, რუსეთთან ურთიერთობის ისტორიულ გამოცდილებაზე გვესაუბრება ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი.



3-4



ნატო-რუსეთის ურთიერთობების პერსპექტივებზე, ასევე ქართულ ოპოზიციასთან რუსეთის ხელისუფლების დაახლოების რეალურ მიზნებსა და სავარაუდო შედეგებზე გვესაუბრება რუსი სამხედრო ექსპერტი ალექსანდრ გოლცი.



## საქართველოს მთავრობისთვის სახიფათო ლონისძიება

8

## სააკაშვილმა ცელეარხი დაკარგა

ლადო პაპავა:

## მოვასწრებთ თუ არა სინგაპურამდე მისვლას, სანამ რუსეთი ჩაგვყლაპავს?

5



წიგნი თენგიზ აბულაძის იუბილესთან დაკავშირებით შეიქმნა. 2009 წელს დიდი რეჟისორის დაბადებიდან 85 წელი შესრულდა, წიგნი მოგონებებზეა აგებული და ქართული კინოს ისტორიის „ოქროს ხანად“ აღიარებულ პერიოდს ეხება.

## „თენგიზ აბულაძე. ანარეკლები“

7

## ცურტავი ბოლნისის ტერიტორიაზე მდებარეობდა!

◉ შიდაპარტიული არჩევნები

# ოპოზიციის დიდი გეგმა

## ყველა არასაპარლამენტო პარტია მიიღებს პრაიმერში მონაწილეობას?

**დიდი სკეპტიციზმის მიუხედავად, პრაიმერის იდეა ისევ დღის წესრიგშია. ოპოზიციური ერთიანობისთვის ბრძოლას აგრძელებენ კონსერვატორები, ხალხის პარტია და სამართლიანი საქართველოსთვის.**

გუშინ სასტუმრო „ბეტსიში" ოპოზიციურ შეთანხმებას მოეწერა ხელი და სამოქმედო გეგმაც გამოქვეყნდა. „საქართველოს გამარჯვების გეგმა" ასე ჰქვია ექვსი პარტიის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს, თუმცა ის ხელმოსაწერად თებერვლის ბოლომდე ღია რჩება.

ამჯერად ძიძიგურის, დავითაშვილისა და ნოლაიდელის გარდა ყველა ცნობილმა ოპოზიციურმა პარტიამ თავი შეიკავა ხელმოწერისგან, მაგრამ ერთიანი ოპოზიციური კანდიდატისა და პრაიმერის ჩატარების მომხრე არიან არცთუ ისე ცნობილი: მომავლის პარტია, „მამულიშვილი" და „ქრისტიანული საქართველო".

მემორანდუმზე ხელმოსაწერად მოწვეულები იყვნენ ლეიბორისტები, ბესელიას, ბურჯანაძის, ზურაბიშვილის პარტიები, თეთრები, ალიანსი საქართველოსთვის, მრეწველები, მწვანეები, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ქალთა პარტია და მონარქისტული მოძრაობაც კი, თუმცა მათგან არავინ გამოჩენილა.

ამის მიუხედავად კობა დავითაშვილმა უკვე მერამდენედ აღნიშნა, რომ **„პრაიმერის პროცესი — ეს არის უნიკალური შანსი, კონკურენტები პარტნიორებად იქცნენ. ერთიანობის ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ, რადგან საზოგადოების დაკვეთა ასეთია".**

გუშინდელ შეკრებაზე კომპლექსურად წარმოადგინეს პრაიმერის პოლიტიკური გეგმა. მათ შორის კოდექსი, რის მიხედვითაც უნდა ჩატარდეს პრაიმერი, თუმცა ეს არ არის საბოლოო ვარიანტი და მასში კორექტივების შეტანა ნებისმიერ პოლიტიკურ გუნდს შეუძლია.

ოპოზიციის დიდი გეგმა სტრატეგიულია და ის გრძელვადიან მოქმედებებზე არის გათვლილი. **„შექმნილ ვითარებაში, მივიჩნევთ, რომ საქართველოს გადარჩენის და გამარჯვების გზა გადის არაკანონიერი ხელისუფლების შეცვლაზე, რაც შესაძლებელია მხოლოდ შეურიგებელი, რეალური ოპოზიციური ძალების უკომპრომისო, და რაც მთავარია, ერთიანი ბრძოლით"** — ნათქვამია გეგმაში.

ოპოზიციურ შეთანხმებაზე ხელმოწერებს ამ თვის ბოლომდე დაელოდებიან, ხოლო **9 აპრილს** ყველა მსურველი ოპოზიციური პარტია პარლამენტის წინ შეიკრიბება მესამე საპროტესტო ტალღის დასაწყებად ხელისუფლების წინააღმდეგ. **18 აპრილს** ჩატარდება პრაიმერი ოპოზიციის ერთიანი კანდიდატისა და საკრებულოს წევრების პოსტებზე წარსადგენი პირების გამოსავლენად. ამის შემდეგ **26 მაისს** ჩატარდება გრანდიოზული გამაფრთხილებელი აქცია არჩევნების გაყალბებების წინააღმდეგ. **30 მაისს** კი გეგმავენ ერთიანი ძალებით დაამარცხონ სააკაშვილის გუნდი და ყველა საშუალებით დაიცვან მოპოვებული ხმები.

კახა კუკავას განცხადებით **„აქტიური კონსულტაციები გრძელდება ყველა არასაპარლამენტო პარტიასთან და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა პარტია მიიღებს პრაიმერში მონაწილეობას. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ოპოზიციის წარმატებისთვის გამოსავალი არის — ერთიანობა. ყველა სხვა გზა არის ჩვენი დაქსაქსულობისა და უსასობის მაჩვენებელი".**

კუკავა არასერიოზულად მიიჩნევს იმ მოსაზრებას, რომ შეიძლება ხელისუფლებამ პრაიმერშიც გადაწყვიტოს „მონაწილეობა" და შეგზავნილი ამომრჩევლის წყალობით სუსტ კანდიდატს გაამარჯვებინოს. კონსერვატორის აზრით, **„სუსტი კანდიდატი არ არსებობს. ვის უკანაც ბევრი პოლიტიკური პარტია დგას, ის თავისთავად ძლიერია. ჩვენთვის განმსაზღვრელი არ არის, ვინ გაიმარჯვებს პრაიმერში, ჩვენი კანდიდატი თუ სხვა, მთავარია ნდობა ჰქონდეს საზოგადოების მხრიდან, — ამბობს კუკავა, — შეგახსენებთ, რომ 2008 წლის არჩევნებზე ლევან გაჩეჩილაძემ მიიღო ხმათა რეკორდული რაოდენობა, მაგრამ ეს განაპირობა იმან, რომ ის ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი იყო და არა უშუალოდ ლევანის ფაქტორმა".**

ასე რომ, ოპოზიციის დიდი გეგმა მზად არის. ახლა მთავარია, რა რეზონანსი მოჰყვება მას კოლეგების მხრიდან და უმთავრესი, რას გადაწყვეტს თავად საზოგადოება — დაეთანხმება თუ არა ოპოზიციისეულ „საქართველოს გამარჯვების გეგმას".

**თეა მოსია**

◉ თემა

# პატრიოტები და მოღალატეები

**ერთი შეხედვით უცნაურია, რომ რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის თითქმის 250-წლიან ისტორიაში არაფერი შეცვლილა. უფრო ზუსტად, 1783 წლიდან მოყოლებული, ისტორია თითქოს უსასრულოდ იმეორებს ერთსა და იმავე დრამატულ სიუჟეტსაც და ღია ფინალსაც. თუმცა 2008 წლის ხუთდღიანი ომი ამ უცნაურობის ფარულ მიზეზებს კარგად ხსნის — მრავალწლიანმა და „მართლმორწმუნე მეგობრობით" გაფორმებულმა, მცოცავმა ოკუპაციამ (განსაკუთრებით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგძ გასაგები და იმპერიული მიზნებით გაფორმებული სახე მიიღო.**

ცინიზმი ისაა, რომ როგორც სოციალიზმის უწყინარ და პოლიტიკურად ნეიტრალურ ხანაში, ასევე დღესაც, მოსკოვი ჩვენი ეგზისტენციური არსებობის საბედისწერო მიმართულებად რჩება. მაგრამ თუ ადრე „ძმური კავშირი" პოლიტიკური ელიტების საერთო სახალხო გართობას უკავშირდებოდა, 2008 წლის ომის შემდეგ „ოკუპანტის" სტატუსის მქონე ქვეყანასთან დიალოგიც გამორიცხულია. ამის მიუხედავად, ხელისუფლება (უფრო იძულებით) და ოპოზიცია (უფრო რევანშის გამო) ისევ მოსკოვში, „უკვდავი კოშჩეის" მტრედის კვერცხში მოთავსებულ სეპარატიზმის „გასაღებს" ეძებს. ხელისუფლებას სათანადო ბერკეტები და ლეგიტიმაცია აქვს, მაგრამ მოსკოვში არ ჩაესვლება, ოპოზიციას მოლაპარაკებისთვის სიამოვნებით ეპატიჟებიან, მაგრამ მისი რეალური გავლენა საზოგადოებასა და პოლიტიკურ პროცესზე მინიმალურია.

ნებისმიერ შემთხვევაში, ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიზნები, სტრატეგია და გზები ამ საკითხთან მიმართებაში, განსხვავებულია. მუდმივად მეორეხარისხოვანი როლებისთვის განწირული ნოლაიდელის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ჩრდილოეთის მიმართულებით იმდენად აქტიური და მოქმედი გახდა, რომ უპირველესი „მოღალატის" პრივილეგია გარანტირებული აქვს. ამავე ფრონტზე ახლად მიმაგრებული კობა დავითაშვილის მცირემეტრაჟიანი „ხალხის პარტია" და კახა კუკავას ლამის ორკაც-ნახევრიანი „კონსერვატორული პარტია" ჯერ ზურგს ამაგრებენ და წინამოსკოვურ მოთელვას გადიან. ბურჯანაძე „დემოკრატიული მოძრაობით" ჯერჯერობით ოდნავ ჩრდილშია დარჩენილი, ხოლო ნათელაშვილის მშრომელთა პარტია ავანგარდში კარგა ხანია, აღარაა.

როცა ცხინვალში დატყვევებული „ბავშვების მხსნელი" ზურაბ ნოლაიდელი, არც მეტი არც ნაკლები, პუტინთან მოლაპარაკებაზე გამოჩნდა, ეჭვი გაჩნდა, რომ კრემლმა სქემა ცოტათი შეცვალა და გაჩეჩილაძესა და ბურჯანაძეს ისევ სიტყვაძუნწი და პრაგმატული პრემიერყოფილი არჩია. ვერ ვიტყოდით, რომ ტალინში, ღია საციგურაოზე მოსრიალე ჰიპერაქტიურმა პრეზიდენტმა ნოლაიდელის იმიჯის გაკეთილშობილება თუნდაც ნეიტრალურად მიიღო. მოღალატის იარლიყს მან მეტი მხატვრული ზემოქმედებისთვის „ვირისა და ბალახის" მეტაფორაც დაურთო. თუმცა „მოღალატე" ნოლაიდელის მრევლზე (ისევე, როგორც უმწყემსოდ დარჩენილი ოპოზიციის სხვა ნაწილზეძ ამ იგავს დიდი გავლენა არ მოუხდენია.



სამაგიეროდ, პრეზიდენტის რისხვა დაზუთხული ლექსივით გაიმეორა „ნაცმოძრაობის" ელიტამ. ოღონდ ლექსიკა კიდევ უფრო მკაცრი აღმოჩნდა — მოღლატეებსა და გამყიდველებს ხალხი განაჩენს გამოუტანსო. მაგრამ რა ვუყოთ „საოკუპაციო" ფონზე ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტის გახსნის აუცილებლობას? ვისთვის ან რისთვისაა აუცილებელი? ავიაკომპანია „აირზენას" საერთო სახალხო რეისებით საქართველოს მოქალაქეები ისარგებლებენ? ხოლო „დომოდედოვოს" აეროპორტი შვეიცარიასავით ნეიტრალური ტერიტორიაა?

ალბათ, პაატა ზაქარეიშვილის ჩასვლაც ცხინვალში (ადამიანის უფლებათა დასაცავადძ მოღალატეობას ნიშნავს, ხოლო ჟენევაში სეპარატისტებთან დამამცირებელი, მომქანცველი და „უნოკაუტო" რაუნდები — პატრიოტულ სახელმწიფო პოლიტიკას. გიგი უგულავას მართლაც სკანდალური ინტერვიუ „ნიუსვიკთან" (ნეიტრალიტეტთან დაკავშირებითძ პატრიოტიზმის ნიმუშია, ხოლო პაატა ბურჭულაძის მონაწილეობა მოსკოვში გამართულ საქველმოქმედო კონცერტში — კოლაბორაციონიზმის. ან იქნებ, უკრაინაში „დამპყრობლებად" ჩასული გამგებლები, პოლიციელები და სპორტსმენები განსახიერებდნენ ჩვენთვის შეუცნობელ პატრიოტებს...

ამგვარი ორაზროვანი სიტუაციები (წინასწარი პოლიტიკური აკვიატების გარეშეძ აჩენს ერთგვარ თავსატეხს: ვინ არიან პატრიოტები და რითი განსხვავდებიან ისინი მოღალატეებისგან? ცხადია, თუ ამგვარი ანტონიმი საზოგადოების შეფასების მთავარი კრიტერიუმია.

**დავით ბუხრიკიძე**
**„ჩი-ეიჩ-ენი"**

◉ შეხვედრა

# შეაჩერებს თუ არა ახალი რეფორმა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის რიცხვს?

**დიმიტრი შაშკინი განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დანიშვნის შემდეგ, რომ იტყვიან, მუხლჩაუხრელად შრომობს. თავის წინა უწყებასაც არ აკლებდა ზრუნვას და შეიძლება ამიტომაც გადაიყვანეს ახალ, გაცილებით საპასუხისმგებლო პოსტზე. მანამდე იმდენი აკრიტიკეს „ვარდების რევოლუციის" შემდეგ დაწყებული განათლების რეფორმა, რომ იმედია ხელისუფლების წარმომადგენლები დაშვებულ შეცდომებს მიხვდნენ და ამიტომაც გადაწყვიტეს ძირფესვიანი ცვლილებისთვის მიემართათ. ის, რომ განათლებაში ყველაფერი რიგზე არ არის, ცხადია, მაგრამ ამბობენ ცვლილებების ახალი პაკეტი ერთ თვეში მომზადდა და იმდენი ხარვეზი აქვს, მალე მასაც სანაგვეზე მოისვრიან, უბრალოდ ახლა სჭირდებათ, ხალხს დაანახონ, რომ ხელისუფლება მათზე ზრუნვით ათენ-აღამებსო.**



არ ვიცი რამდენად სწორია ეს მოსაზრება, მაგრამ საკითხი, რომელიც პირველად თბილისის 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან დიმიტრი შაშკინმა განიხილა, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მტკივნეულია როგორც მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, ასევე მთლიანად საზოგადოებისთვის. საქმე ეხება არასრულწლოვანთა შორის დანაშაულს, რომელიც ბოლო სტატისტიკის მიხედვით საგრძნობლად გაიზარდა, ამიტომ საქართველოს პროკურატურა, შინაგან საქმეთა და, რაც მთავარია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის ერთობლივ კამპანიას იწყებენ. შეხვედრას მოსწავლეებთან ერთად მათი მშობლებიც ესწრებოდნენ.

**უსაფრთხო სკოლის პროექტში ჩართულ უწყებათა ხელმძღვანელებმა მთავარ პრიორიტეტზე ისაუბრეს. მაგალითად, როგორ უნდა მოხდეს საჯარო სკოლებში უსაფრთხოების დაცვა, რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის სამართალდამცველთა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა კოორდინირებულ მუშაობას, როგორი უნდა იყოს ოჯახისა და საზოგადოების როლი, რა მნიშვნელობა აქვს კანონმორჩილების თვითშეგნების ამაღლებას ადრეულ ასაკში.**

შეხვედრაზე მთავარი პროკურატურისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დამზადებული კლიპის ჩვენებაც გაიმართა, რომელიც სწორედ მოზარდთა დანაშაულს შეეხება. კლიპში ნაჩვენებია როგორ ხდება მოსწავლე დამნაშავე და მსხვერპლი, ცივი იარაღის ტარებისა და ოჯახის გულგრილობის გამო.

როგორც დიმიტრი შაშკინმა და მურთაზ ზოდელავამ განაცხადეს, მკაცრად გაკონტროლდება ცივი იარაღის ტარების ფაქტები. გატარდება სხვა ცვლილებებიც, მაგალითად სკოლის მოსწავლეები ველარ ისარგებლებენ ნაღდი ფულით, მათ დაურიგდებათ სპეციალური ბარათები, რომლითაც შეძლებენ ანგარიშსწორებას, მათ შორის სკოლის სასადილოებშიც.

გუშინვე გამოცხადდა კონკურსი ცივი იარაღის ტარების წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიის სახელწოდებისთვის. გამარჯვებული მოსწავლე საჩუქრად კომპიუტერს მიიღებს.

საქართველოს პროკურატურამ 2010 წელი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის წლად გამოაცხადა. პროკურატურის ინიციატივითვე კი მოხდა არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია. კერძოდ, არასრულწლოვანის მიმართ დევნის განხორციელების ვალდებულება შეიცვლება დისკრეციით და პროკურორი უფლებამოსილი იქნება არ დაიწყოს, ან შეწყვიტოს დევნა დამნაშავის მიმართ. ეს უფლება ვრცელდება ყველა კატეგორიის დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანზე, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისა.

აღნიშნული ცვლილებები აგრეთვე მოიცავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზღვრის 12 წლიდან 14 წლამდე გაზრდას.

უკვე აღვნიშნეთ, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის მხრივ მართლაც საგანგაშო ვითარებაა, თუ ამას ახალი რეფორმა უშველის, სასაყვედურო არც არაფერი იქნება. პრობლემის უკეთ დასანახად კი შემდეგ ციფრებს მოვიშველიებ: **ბოლო ორი წლის განმავლობაში არასრულწლოვანთა მიერ ცივი იარაღის გამოყენებით ჩადენილია 336 დანაშაული, აქედან 14 სიკვდილით, 84 კი სხეულის მძიმე დაზიანებით დასრულდა.**

**ანა წიწილაშვილი**

◎ თვალსაზრისი

# რუსული პოლიტიკისთვის სააკაშვილი საბაბია, რუსულ იმპერიულ პოლიტიკას პრობლემა ყველა ჩვენგანთან აქვს



***ქართული ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლების მხრიდან რუსეთთან დაახლოების სასარგებლოდ გაკეთებული განცხადებების რეალურ მიზეზებზე, რუსეთთან ურთიერთობის ისტორიულ გამოცდილებაზე, ასევე, კრემლთან დაახლოების შემთხვევაში, რას შეიძლება ელოდოს საქართველო უკეთეს ან უარეს შემთხვევაში, „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა.***

**— ბატონო ზაზა, დავიწყოთ იმით, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა გააკეთა განცხადება სახალხო კრების მოწვევაზე, რომელმაც ქვეყნის განვითარების სტრატეგიული პრობლემებიც უნდა განიხილოს. როგორ ფიქრობთ, რამდენად პერსპექტიულია ეს იდეა?**

— მართალი გითხრათ, ბევრი არაფერი ვიცი ამ იდეის შესახებ, გარდა ზოგადი ინფორმაციისა. და მაინც, ვფიქრობ, ჩვენი პრობლემაა არა რაიმე ისეთი ინსტიტუციის მოფიქრება, რომელიც საუკეთესოდ გადაწყვეტს ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, არამედ საზოგადოებრივი დიალოგისა და კონსენსუსის უნარი. ბერძნები თავისუფალ ადამიანს განსაზღვრავდნენ, როგორც დიალოგის უნარის მქონე არსებას. ჩანს, ჩვენ ჯერ არა ვართ თავისუფალი არსებები, ეგ არის, მიზეზს სადღაც სხვაგან ვეძებთ.

დიალოგის დეფიციტია არა მხოლოდ ხელისუფლებასა და ოპოზიციას, არამედ ოპოზიციის სუბიექტებს შორის. როგორი იდეალური სტრუქტურაც უნდა მოვიფიქროთ, როგორი ავტორიტეტებიც უნდა მოვიწვიოთ მასში მონაწილეობისთვის, დიალოგისა და კონსენსუსის გარეშე იგი კვლავ ვიღაც ერთის ნების უსიტყვოდ შემსრულებლად ან ქაოსის განსახიერებად იქცევა; ისევე ჩაბარდება ისტორიას, როგორც წარსულში არაერთი მსგავსი წამოწყება ჩაბარებია. იმედი მაქვს, იდეის ავტორებმა კარგად იციან, რასაც აკეთებენ და რაც მთავარია, იციან, როგორ უნდა დააზღვიონ ეს კრება შემთხვევითი პირებისგან ან გარკვეული ძალების გავლენებისგან. იმედი მაქვს, მათ იციან, როგორი იქნება ამ კრების წარმომადგენლობითი კომპეტენცია. არც ის არის გამორიცხული, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა იგი ხელისუფლების ალტერნატიული ცენტრის შესაქმნელად გამოიყენოს, რაც, ცხადია, უკიდურესად ცუდი ხელისუფლების პირობებშიც კი, დამღუპველი იქნებოდა ქვეყნისთვის.

**— რუსეთთან დაახლოების ინიციატივა არაერთმა ოპოზიციურმა ლიდერმა დააყენა. ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში რუსულ ვექტორზე საუბარი ცუდ ტონად ითვლებოდა, ახლა კი, რჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი რუსეთისადმი სიმპათიებს სიამოვნებითაც აფიქსირებს. თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს ოპოზიციური სპექტრის პოლიტიკურ აზროვნებაში შესამჩნევი ცვლილება?**

— იმედი მაქვს, რომ ეს, უპირატესად, პოლიტიკურ ზერელობას უკავშირდება. ჩანს, ამ პოლიტიკოსებისთვის დასავლური ვექტორი იყო არა ცივილიზაციური არჩევანი, არამედ მოცემული მომენტისთვის მომგებიანი იდეოლოგიური ნილაბი. არადა, დასავლური ორიენტაცია ეგზისტენციალური არჩევანიც არის და მოგეხსენებათ, ასეთ რამესთან ასე იოლად და ზერელედ არ თამაშობენ. იქნებ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რას ნიშნავდა ეს არჩევანი - ნიშნავდა სურვილს, თავი დაგვეღწია რუსული „დერჟავისა“ და უზენაესი ისტორიული მისიის იდეებისგან, თავი დაგვეღწია იმ აბსურდული ისტორიული ექსპერიმენტებისგან, რომლისკენაც არის მიდრეკილი ეს სამყარო; ეს ნიშნავდა, რომ ჩვენ უარს ვამბობდით, გვეცხოვრა ისეთ სამყაროში, სადაც ადამიანის ღირსება არაფერს ნიშნავს და სადაც ათეულობით მილიონი ადამიანი შეიძლება გაანადგურონ კლასობრივი ნიშნით. სხვა ხალხებთან ერთად, ამ არჩევანით ჩვენ მოვახდინეთ დეკლარირება, რომ ჩვენს ქვეყანაში ღირსებისა და თავისუფალი ნების მქონე ადამიანები ცხოვრობდნენ.

ჩანს, თქვენ მიერ ნახსენები პოლიტიკოსებისთვის ყოველივე ამას მხოლოდ ფარდობითი მნიშვნელობა აქვს. ძალაუფლებისთვის ბრძოლის აზარტმა მათ დაავიწყა ის, რისი დავიწყებაც არ შეიძლება, ვინც უნდა იდგეს ახლა ჩვენი ქვეყნის სათავეში და რა შეცდომებსაც უნდა უშვებდეს იგი. ამით მხოლოდ იმას თუ მიაღწევენ, რომ ქართველი კაცი შეიძლება, მათ კიდევ უფრო ნაკლებად ენდოს, ვიდრე 2007 წლის ნოემბრისა და სხვა მოვლენების შემოქმედ ხელისუფლებას.

ისინი გვარწმუნებენ, რომ რუსეთისთვის პრობლემა სააკაშვილია და არა ქართველი ხალხი. ჩანს, გვავიწყდება, რომ რუსეთისთვის ასეთივე პრობლემას წარმოადგენდნენ გამსახურდიაც და შევარდნაძეც. არც ისე დიდი დროა გასული და მახსოვს, 2003 წლის მოვლენების წინ როგორ აქეზებდა ირინა ხაკამადა ახალგაზრდა ქართველ პოლიტიკოსებს შევარდნაძის წინააღმდეგ და კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივასაც პირდებოდა. მთელი განვლილი 20 წლის განმავლობაში განა ვის სჯიდა რუსეთი სეპარატიზმის წაქეზებითა და კონფლიქტების პროვოცირებით, ვინ დასაჯა მან 2008 წლის აგვისტოში? რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში დარტყმა არა სააკაშვილს, არამედ ყველა ჩვენგანს — ხალხს მიაყენა, რომელსაც თავისუფლების ნება გვაქვს. დღეს რუსული პოლიტიკისთვის სააკაშვილი მხოლოდ საბაბია. ასეთივე საბაბი იყო მისთვის გამსახურდია, რომელმაც დამოუკიდებლობის გამოცხადება გაბედა, შევარდნაძე, რომელმაც ნავთობსადენის გაყვანით ქვეყანას გეოპოლიტიკური ფუნქცია შესძინა და ასეთივე საბაბი იქნება ყველა, ვინც, ავად თუ კარგად, დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებრიობის იდეას განასახიერებს.

რუსულ იმპერიულ პოლიტიკას პრობლემა ყველა ჩვენგანთან აქვს, არც კი სურს, წარმოიდგინოს, რომ მათი ბიზანტიური მემკვიდრეობა შეიძლება, დამოუკიდებლად არსებობას ახერხებდეს, მესამე რომის იდეოლოგთათვის საქართველო ხომ სწორედ ბიზანტიური მემკვიდრეობაა. ამ რამდენიმე თვის წინათ თბილისში ჩამოსული ერთი ჩემი რუსი ნაცნობი გაოცებით მეუბნებოდა, თურმე თქვენთან სინათლეც ყოფილა, წყალიც, ქუჩაშიც არ ისვრიანო და ცუდად მალავდა, რომ გონების რაღაც მანქანებით ამას აღიქვამდა, როგორც რუსული ინტერესების შელახვას. მისდა გასაოცრად, არც გურულები, კახელები, იმერლები და სხვები ყოფილან არაქართველები, როგორც ეს ჯერ კიდევ ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის XIX საუკუნის რუსულ გამოცემაშია, რასაც დღესაც იმეორებენ რუსულ პერიოდიკაში. ვიმეორებ, რუსეთის პრობლემა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობა, ჩვენი თავისუფალი ნებაა.

იხ. 4 გვ.

◎ აქტუალური ინტერვიუ

# რუსეთს სურს საქართველოსთან ჰქონდეს რამე კავშირი, მაგრამ ამის გაკეთებას მაინც ვერ შეძლებს!



***ნატოსა და რუსეთს შორის ბრიუსელში დასრულებული მოლაპარაკებების შედეგებზე, ნატო-რუსეთის ურთიერთობების პერსპექტივებზე, ასევე ქართულ ოპოზიციასთან რუსეთის ხელისუფლების დაახლოების რეალურ მიზნებსა და სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ რუს სამხედრო ექსპერტსა და ინტერნეტგამოცემა „ყოველდღიური ჟურნალის“ რედაქტორის მოადგილეს ალექსანდრე გოლცს ესაუბრა.***

**— ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებდით ნატო-რუსეთს შორის ბრიუსელში დასრულებულ მოლაპარაკებებს? რა საკითხებზე შეძლეს მხარეებმა მოლაპარაკება და რაში ვერ მოხერხდა პოზიციების შეჯერება?**

— ნატოს ქვეყნებში გენერალური შტაბების ხელმძღვანელებს არავითარი უფლებამოსილება არა აქვთ რამეზე მოილაპარაკონ. მათი ფუნქციაა ინფორმაციის ანალიზი და პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის სამომავლო რჩევის მიცემა. ამიტომ, ნებისმიერი ამგვარი მოლაპარაკებები საკონსულტაციო ხასიათს ატარებს. ორივე მხარე ამა თუ იმ საკითხზე წარმოადგენს თავის წინადადებებს, რომლებიც შემდგომ, პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე შეიძლება იყოს ან არც იყოს განხილული.

ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე უმთავრესი თემა ავღანეთში ნატოს ოპერაციაში რუსეთის მონაწილეობის ფორმების განხილვა იყო. რუსეთმა გამოთქვა მზადყოფნა მონაწილეობა მიეღო ავღანეთის არმიის გადაიარაღებაში. იმის გათვალისწინებით, რომ ავღანელ ოფიცერთა უმრავლესობას საბჭოთა წარმოების იარაღი კარგად აქვთ ათვისებული, რუსეთის წინადადება მათთვის იარაღის მოწოდების შესახებ, რაციონალური იყო, მაგრამ მოსკოვის ეს წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა ბრიუსელისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთს სურდა ალიანსის ფინანსებით ავღანეთის არმიის გადაიარაღებაში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ ამაზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ. რუსულმა დელეგაციამ მკაფიოდ განაცხადა, რომ ავღანეთის ჯარის გადაიარაღებაში თავის სახსრებს არ დახარჯავდა. რუსულმა მხარემ ასევე უარი თქვა თავისი ფინანსებით მონაწილეობა მიეღო ავღანეთში საბჭოთა ინტერვენციის დროს აშენებული სამხედრო ობიექტების რეკონსტრუქცია-აღდგენაში.

მეორე საკითხი, რაშიც დაინტერესებული იყო რუსეთი, ეხებოდა უკვე ნატოში გაერთიანებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჯარების მოდერნიზაციას, ანუ რუსული იარაღით გადაიარაღებას. ეს იდეა თავიდანვე არარეალიზებადი იყო და ამიტომაც იყო, რომ მოსკოვს ამ წინადადებაზე გარკვეული პასუხი ბრიუსელისაგან არც მიუღია. რაციონალურობის თვალსაზრისით ეს სახელმწიფოები შეიძლება დაფიქრებულიყვნენ მოსკოვის ამ წინადადებაზე, ვინაიდან სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაცია მათ უფრო იაფი დაუჯდებოდათ, მაგრამ საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ იმავე ქვეყნებს სურთ რაც შეიძლება სწრაფად მოიშორონ დღემდე დარჩენილი საბჭოთა, ანუ იგივე რუსული ტექნიკა.

**— ბრიუსელის შეხვედრამდე რუსული პრესა საკმაოდ ბევრს წერდა, რომ შესაძლოა რუსეთს ნატოსთან ერთად შეექმნა ტაქტიკური დონის, ერთიანი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა. მხარეები ვერც ამ საკითხზე შეთანხმდნენ?**

— ამ საკითხზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა მკაფიოდ განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა ამ პროექტს მას შემდეგ შეუერთდეს, რაც მხარეები საფრთხეების ერთობლივ ანალიზს მოახდენენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნატომ რუსეთი ერთობლივი, ტაქტიკური დონის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შექმნის აუცილებლობაში უნდა დაარწმუნოს. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს მომავლის საქმეა.

**— საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნატოს ავღანეთში ტვირთების გადაზიდვისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენება შესთავაზა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ავღანეთში მიმდინარე ოპერაციასთან დაკავშირებით ნატო და რუსეთი გარკვეულ საკითხებში ვერ შეთანხმდნენ?**

— წარმოდგენა არ მაქვს, რას შეიძლება ნიშნავდეს სააკაშვილის ეს შეთავაზება. რამდენადაც მახსოვს, საქართველო ავღანეთს არ ესაზღვრება. რუსეთმა ნატოს ტვირთების ავღანეთში ტრანსპორტირებისათვის თავისი მარშრუტი შესთავაზა. იგი რუსეთის გარდა უზბეკეთსა და ტაჯიკეთზე გაივლის. წარმოდგენა არა მაქვს, როგორ უნდა მოხდეს საქართველოდან ავღანეთში ტვირთების ტრანსპორტირება. ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ სააკაშვილის ეს წინადადება ჰაერში გასროლას უფრო ჰგავს.

**— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლი კარასინმა ქართულ ოპოზიციას, ზურაბ ნოღაიდელის მსგავსად, მოსკოვში ჩასვლა ურჩია. ანალოგიური მოწოდება სტრასბურგში გააკეთა სათათბიროს დეპუტატმა კონსტანტინე კოსაჩოვმა. თქვენი აზრით, რა მიზანს ისახავს რუსეთის ხელისუფლება ქართულ ოპოზიციასთან ურთიერთობების დამყარებით?**

— აქ ყველაფერი მარტივად გასაგებია. მოსკოვს ოფიციალურ თბილისთან ურთიერთობები ისე აქვს გაფუჭებული, რომ მათი გამოსწორების არავითარი შანსი არ არსებობს, არადა, შეუძლებელია, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის არავითარი ურთიერთობები არ არსებობდეს. ამიტომ რუსეთი ცდილობს ოპოზიციასთან ურთიერთობების დამყარებას.

იხ. 4 გვ.

№ 19. სამშაბათი, 2 თებერვალი, 2010 წელი.

თვალსაზრისი

# რუსული პოლიტიკისთვის სააკაშვილი საბაბია, რუსულ იმპერიულ პოლიტიკას პრობლემა ყველა ჩვენგანთან აქვს

(მესამე გვერდიდან)

რაც შეეხება არგუმენტს მართლმადიდებლობის შესახებ. ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ საკმარისია, გავიხსენოთ მესამე რომის იდეა, რომელიც უკვე ლამის ოფიციალურ დოქტრინად იქცა და, რომლითაც რუსული ეკლესია თავს მოსკოვიტური სექტის მდგომარეობაში იყენებს. დღევანდელი ე.წ. მართლმადიდებელი რუსეთი ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას მსოფლიოში ალკოჰოლიზაციისა და ნარკომანიის დონით, ბატონობს კორუფცია, განუკითხაობა და უკანონობა. 2008 წლის თებერვალში პუტინი იმყოფებოდა ბოლტიხაში, სადაც მოითხოვა კიდევ ერთი საგზაო კორიდორის აშენება, რომლითაც საქართველოში „მძიმე სამხედრო ტექნიკა გაიგზავნებოდა", კორუფციისა და ქურდობის გამო ეს გზა ვერ აშენდა.

დღევანდელ რუსულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აზროვნებას ჯერაც არ გასჩენია სინანული უკრაინული გოლოდომორის, ჩეჩენთა გენოციდისა



და სხვა ათეულობით დანაშაულის გამო, რომელთაც მრავალი მილიონი ადამიანი შეეწირა. ერთია დანაშაული, მაგრამ მას აასმაგებს ის, რომ ვერ გაგიგია, რა ჩაიდინე. ცხადია, ქრისტიანობასთან არცა გვაქვს საქმე. საკმარისი იყო, ოფიციალურ რუსულ პოლიტიკაში 1990-იანი წლების დასაწყისში გაჟღერებულიყო სინანული ჩადენილის გამო, რომ ჩეჩნეთის ომებსაც დაალწევდნენ თავს და ჩვენთანაც ნორმალური ურთიერთობის სივრცეს შექმნიდნენ. ამის ნაცვლად მათ ცივ ომში მარცხის გამო რევანშისთვის დაიწყეს მზადება. ჩვენს ცივილიზაციურ არჩევანს ესეც განაპირობებდა და განაპირობებს.

როდესაც ჩვენებური პოლიტიკოსი თვალს ხუჭავს ამ ნეოიმპერიულ რევანშიზმზე, უნებურად, თავის ხალხს ახალ 1801-ს, 1921-ს, 1924-ს, 1937-ს, 1956-ს, 1989-ს და სხვა მრავალს უმზადებს. დღევანდელ რუსეთში მიმდინარე პროცესები არავითარ საფუძველს არ იძლევა, ვივარაუდოთ, რომ იქ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში რაიმე პრინციპულად შეიცვალა. შეიცვალა მხოლოდ იმპერიის იდეოლოგიური საფუძველი. დღეს კომუნიზმის იდეას ფსევდომართლმადიდებელი გეოპოლიტიკა ცვლის და ეგ არის.

რასაკვირველია, პოსტლიბერალური დასავლეთი არ აღმოჩნდა ისეთი, როგორსაც ველოდით, მაგრამ მასთან თანამშრომლობა, დიალოგი და საკუთარი ინტერესების დაცვა შესაძლებელია. ეს კი არსებითია მცირე ერისთვის. რაც შეეხება რუსეთს, მასთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი და სამწუხარო გამოცდილება გვაქვს. მერაბ მამარდაშვილი რუსულ საზოგადოებას ახასიათებდა, როგორც ისეთს, რომელიც საკუთარი ისტორიიდან დასკვნებს ვერ აკეთებს. ღმერთმა არ ქნას, რომ მალე ჩვენზეც იგივე თქვას ვინმემ.

**— თქვენი აზრით, რეალურად რასთან გვაქვს საქმე, მეხუთე კოლონის გააქტიურებასთან, როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებს, პოლიტიკურ სიბეცე-გულუბრყვილობასთან, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში რევანშის მცდელობასთან თუ რეალპოლიტიკის პრინციპების გათვალისწინებასთან?**

— ალბათ, ერთთანაც, მეორესთანაც და მესამესთანაც. ამ რამდენიმე წლის წინათ მეუბნებოდა იგორ გიორგაძის ერთი მომხრე, რომ რუსეთზე ორიენტირებული მაშინდელი პოლიტიკური აქტორები მხოლოდ ცრუ სამიზნეებს წარმოადგენდნენ და რომ სულ მალე ასპარეზზე გამოვიდოდა ისეთი საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც პროდასავლური ძალები წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდნენ. როგორც ჩანს, რუსეთის კომპეტენტური ორგანოები საკმაოდ ხანგრძლივად და გულმოდგინედ ემზადებოდნენ.

რაც შეეხება რეალპოლიტიკას: მას არაფერი აქვს საერთო მავანთა მორალურ რელატივიზმთან, ღირსების უქონელ უპრინციპობასთან თუ ისტორიულ კაპიტულაციასთან. რეალპოლიტიკა არ ნიშნავს მდაბიურ, უღირსებო ანგარიშიანობას.

ნუთუ, ვინმეს მართლა სჯეროდა, რომ ამერიკელები წაიყვანდნენ სააკაშვილს? ეს არ არის ამერიკული პოლიტიკური სტილი. ამერიკელებს გულითაც რომ სდომებოდათ სააკაშვილის მოშორება, ჩვენს პოლიტიკურ წრეებში, ამ ეტაპზე მაინც, ვერ დაინახეს ალტერნატივა, ვინც ისე ჩაანაცვლებდა დღევანდელ ხელისუფლებას, რომ ამას ქაოსი, უსაშველოდ გაჭიანურებული სამიტინგო აჟიოტაჟი ან, რეალური სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნაცვლად, პათეტიკური თეოლოგიურ-გეოპოლიტიკური გაუგებრობა არ მოჰყვებოდა.

დარწმუნებული ვარ, თუკი რამე სურთ დღეს ამერიკელებს (თუ შეიძლება, წარმოვიდგინოთ ერთ აზრად შეკრულ და „ერთმანეთს ჩახუტებულ" ამერიკელთა ერთგვაროვანი მასად, ეს არის, პირველ რიგში, სრულფასოვანი ქართული პოლიტიკური ალტერნატივა. ჩვენთვის, როგორც მცირე ერისთვის, მთავარია, რუსეთის მსგავსად, ისინი არ დაადგებიან ტლანქი პოლიტიკური ინჟინერიის გზას.

მეორეს მხრივ, პოლიტიკური რეალიზმი არც ის არის, რომ გლობალური პოლიტიკური ძალების კონფლიქტში წამყვანი როლის შესრულებას შეეცადო, როგორც ამას ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება აკეთებს. ერთია ცივილიზაციური არჩევანი და მეორე, როდესაც საკუთარ ქვეყანას გამარჯვებული პოსტლიბერალიზმის ქვეყნად აქცევ და ფერადი რევოლუციის ექსპორტით ხარ დაკავებული. ის, რაც უკრაინაში ჩვენი დამკვირვებლების გამოძევებით მოხდა, ისეთივე შეურაცხმყოფელია, როგორც რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობა. ორივე შემთხვევაში ჩვენი ხელისუფლების ინფანტილური პოლიტიკის მსხვერპლად ვიქეცით. ეს ინფანტილიზმი კიდევ ბევრ სიურპრიზს მოგვიტანს. ჩვენს სიტუაციაში რეალპოლიტიკა ევროპაზე ორიენტაციის შენარჩუნებით საერთაშორისო ინტერესთა დაბალანსებაა და არა — გეოპოლიტიკურ კონფლიქტში ყოყოჩი გადაშვება.

**— მოსკოვთან დაახლოების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერის, ექსპრემიერმინისტრ ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, იგი რუსეთთან დაახლოებას იმის გამო ცდილობს, რომ სურს შეინარჩუნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების პერსპექტივა. რამდენად რეალურია ნოღაიდელის მოლოდინი და იმედები? გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ნოღაიდელის საქმიანობას რუსეთის საგარეო დაზვერვა კურირებს; რომ მარტში ვლადიმერ პუტინი ხვდება ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლებს.**

— მუხლებიდან წამოდგომის იდეით ატაცებული რუსული ხელისუფლება ვერ იტყვის უარს 2008 წლის აგვისტოს „დიად გამარჯვებებზე". ეს ნოღაიდელმა ჩემზე კარგად უნდა იცოდეს. საუკეთესო შემთხვევაში შესაძლებელია, საუბარი კონფედერაციაზე, რომელშიც აფხაზები და ოსები გაერთიანდებიან, როგორც საერთაშორისო აქტორები, თუმცა ესეც ნაკლებალბათურად მეჩვენება.

გარდა ამისა, ჩანს, ბატონ ზურაბს გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს თავის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ რესურსებზე. ამასთან, არის მეორე მომენტიც: მისი სახით შეიძლება ახალი რეგიონული ლიდერი მოგვევლინოს, რომელიც ახალ პრობლემებს გაგვიჩენს. არა მგონია, მოსკოვში მრავალგზის გაჟღერებული იდეა საქართველოს რვა ნაწილად დაშლის შესახებ მხოლოდ მავანთა ფანტაზია იყოს. რაც შეეხება ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრას პუტინთან, მოკლედ ვიტყვი, იმედი მაქვს, რომ ასეთი რამ არ მოხდება.

**კობა ბენდელიანი**

აქტუალური ინტერვიუ

# რუსეთს სურს საქართველოსთან ჰქონდეს რამე კავშირი, მაგრამ ამის გაკეთებას მაინც ვერ შეძლებს!

(მესამე გვერდიდან)

**— ოპოზიცია რეალურად არაფერს წყვეტს და მასთან ურთიერთობებს რა აზრი შეიძლება ჰქონდეს?**

— ეს გასაგებია, მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ, ადრე თუ გვიან, ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვიდეს. ასეც რომ არ მოხდეს, ოპოზიციას შეუძლია ამა თუ იმ საკითხზე კრემლის აზრი ოფიციალურ თბილისს გადასცეს.

**— მაშინ, როცა რუსეთი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან ურთიერთობებს ყოველდღე აღრმავებს, რჩება შთაბეჭდილება, რომ კრემლის მესვეურების მხრიდან ქართულ ოპოზიციასთან დაახლოება მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს — ქართული პოლიტიკური წრეები უნდა შეეგუონ აზრს, რომ საქართველომ აფხაზეთი და ოსეთი დაკარგა...**

— ვფიქრობ, შესაძლოა საქმის ვითარება სწორედ ასეთი იყოს. რუსეთმა იზოლაციის საშიშროების მიუხედავად, მაინც აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ახლა რუსეთი ცდილობს გაიმეოროს თურქეთისა და ჩრდილოეთ კვიპროსის ურთიერთობის მოდელი. ფორმალურად ქმნის იმის ილუზიას, თითქოს მას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები აქვს, მაგრამ, რეალურად რაც არის, ყველამ კარგად იცის. თუმცა, ამ მხრივ შესაძლოა მოსკოვისათვის სიურპრიზი შეიძლება აღმოჩნდეს აფხაზეთის პოზიცია, რომელიც საერთაშორისო არენაზე დამოუკიდებელ მოთამაშედ ჩამოყალიბებას ცდილობს.

სხვა მხრივ, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ რა უნდა რუსეთს ქართულ ოპოზიციასთან დაახლოებისაგან, მაგრამ აქ საქმე არც ისე იოლადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ერთის მხრივ, რუსეთს უნდა საქართველოსთან ჰქონდეს რამე კავშირები, მაგრამ იგი ამის გაკეთებას მაინც ვერ შეძლებს და იცით რატომ? საკმარისია ქართული ოპოზიციის რომელიმე ლიდერმა აღი-



აროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რომ იგი ქართული პოლიტიკის სუბიექტის სტატუსს მყისიერად დაკარგავს.

რამდენადაც ვიცი, ქართული ოპოზიცია სააკაშვილს იმაზე კი არ ედავება, არიან თუ არა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილები, არამედ იმას, რომ მან ვერ უზრუნველყო ამ ტერიტორიებზე საქართველოს სუვერენიტეტი და ამ რეგიონებთან მიმართებაში არასწორი პოლიტიკა გაატარა.

## კითხული კაცის აზრი

**ლარის კურსი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. ეკონომიკური კრიზისი საბოლოოდ დაძლეული არ არის. ძვირდება ქვეყანაში შემოტანილი საქონელი... ამ ყველაფერს ერთვის ისიც, რომ საქართველო სულ უფრო და უფრო კარგავს თავის როლს რეგიონში. ეკონომიკური მეგობრული წრის შეკვრით მოსკოვთან, რასაც უკანასკნელ ხანს აქტიურად ახორციელებენ ჩვენი ახლო მეზობლები, საქართველო შესაძლოა უფუნქციოდ დარჩეს, მეტიც, რუსეთის ზეგავლენის ქვეშ სრულიად „ბუნებრივად“ მოექცეს.**
**ამ საკითხებზე საინტერესოდ გვესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა.**



# მოვასწრებთ თუ არა სინგაპურამდე მისვლას, სანამ რუსეთი ჩაგვყლაპავს?

## ამჯერად ლარი გაუფასურებას გადაურჩა, მაგრამ რა ელოდება საქართველოს ეკონომიკას მომავალში?!

**— ბატონო ლადო, თქვენი ვარაუდი გამართლდა და, როგორც ვხედავთ, ლარმა დევალვაცია განიცადა. თქვენი აზრით, რატომ გაიზარდა დოლარის კურსი და როგორია სამომავლო პროგნოზი?**

— ეს პროცესი მანამდეც მიდიოდა, მაგრამ შესამჩნევი იანვრში გახდა. ლარი დოლართან მიმართებაში ხუთი თეთრით არის გაუფასურებული. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, რომ ამ ეტაპზე მსოფლიო ბაზარზე მიმდინარეობს ევროსთან მიმართებაში დოლარის შედარებითი გამყარება.

გასათვალისწინებელია ქართული ფენომენიც. ჩვენი საგარეო ეკონომიკური ოპერაციების უდიდესი ნაწილი, როგორც წესი, ხორციელდება დოლარში. ამიტომ დოლარის კურსის ცვალებადობა უფრო შთამბეჭდავად აისახება ხოლმე ლართან მიმართებაში. მეორეც, ყველაფერი შეფარდებითია. დეკემბერში, წინასაახალწლოდ იზრდება ლარზე მოთხოვნა: ეს არის წლიური საგადასახადო ვალდებულებების შესრულების პერიოდი, თანაც მოსახლეობაც ახურდავებს მის ხელთ არსებულ დოლარებს საახალწლო სამზადისისათვის. იანვარში კი უკუპროცესი იწყება — მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე იზრდება. თუ ავიღებთ სავალუტო აუქციონებს, რომელთაც ეროვნული ბანკი მართავს, აქ ასეთ სურათს ვნახავთ: ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული აუქციონებიდან, ბანკს არც ერთი დოლარი რეზერვებიდან არ გაუცია დეკემბერში. ანუ ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდება დოლარსა და ლარს შორის ყალიბდებოდა თვითონ ბანკებს შორის ურთიერთვაჭრობით. რაც შეეხება, იანვარს, საბოლოო ჯამში გაიყიდა 69 მილიონი დოლარი. როცა ერთი თვე არაფერს არ ჰყიდი და მეორე თვეში 70 მილიონამდე დოლარის დახარჯვა გიხდება, ეს შთამბეჭდავი მოვლენაა. ეროვნულმა ბანკმა გაყიდა დოლარები იმისათვის, რომ ლარის კურსი კიდევ უფრო არ დაცემულიყო.

**— იყო თუ არა ეს ეროვნული ბანკის მართებული ქმედება?**

— თუ შევადარებთ იმას, რომ დეკემბერში ბანკს რეზერვისთვის ხელი არ უხლია, 69 მილიონი საკმაოდ დიდი ოდენობაა, მაგრამ თუ ავიღებთ ეროვნული ბანკის რეზერვებს (რომელიც იანვრის დასაწყისში იყო 2 მილიარდ 100 მილიონზე მეტიძ, ერთ თვეში 69 მილიონის დახარჯვა დიდ პრობლემას არ ქმნის. ამ თვალსაზრისით ეროვნული ბანკის ქმედება იყო სწორი. ამით სიგნალი მისცა ბაზარს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლარი უფასურდება, ეროვნული ბანკი აკონტროლებს სიტუაციას და ლარს არ ემუქრება ნახტომისებური გაუფასურება.

**— როგორც ეს მოხდა შარშანწინ, რომელსაც თქვენ „მწვანე პარასკევი“ უწოდეთ, არა?**

— გულახდილად გითხრათ, ძალიან მეშინოდა გასული პარასკევის, რომ არ განმეორებულიყო ის, რაც მოხდა 2008 წლის 7 ნოემბერს. მაშინ არაპროფესიონალიზმის თუ მავანისა და მავანის დანაშაულებრივი ქმედების გამო ერთ დღეში ლარი პრაქტიკულად 15 პროცენტით გააუფასურეს. მაგრამ ამჯერად აბსოლუტურად სწორად მოიქცა ეროვნული ბანკი, რაც ხელს უწყობს ლარისადმი ხალხში ნდობის შენარჩუნებას. კიდევ რამდენიმე მილიონის დახარჯვა რომ ყოფილიყო საჭირო, ეროვნულ ბანკს უნდა დაეხარჯა. სიტუაცია დღესდღეობით სავსებით ნორმალურია.

**— რა ელის ლარს მომავალში?**

— ჩვენ ხომ ვიცით, რომ ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისშია. ექსპორტი იმპორტს 4-ჯერ ჩამორჩება და სავალალო მდგომარეობაშია. ვალუტის შემოდინების ისეთი წყარო, როგორიც არის ფულადი გზავნილები უცხოეთიდან ჩვენი ქართველებისგან, შეზღუდულია გლობალური ფინანსური კრიზისის გამო. ფინანსურმა კრიზისმა შეამცირა ინვესტიციების შემოდინებაც. ქვეყანაში ვალუტა ძირითადად დახმარების გზით შემოდის. ის გაგრძელდება 2011 წელსაც, აქედან გამომდინარე, რეზერვებს საფრთხე არ ექმნება. ჩემი ვარაუდით, დრამატული ცვლილებები არ უნდა მოხდეს.

**— თუმცა ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ ლარის კურსი დოლართან შეფარდებით ერთი ორთან იქნებაო.**

— ამის თქმის საფუძველს 2008 წლის ლარის გაუფასურების ფაქტი უფრო იძლეოდა, იმ აფიორის გამო, რაც მაშინ მოხდა. თუმცა მაშინ ეროვნულ ბანკს პრეზიდენტი არ ჰყავდა. ამაღლობელი კი ყველაფერზე წამსვლელი იყო, ოღონდაც პრეზიდენტი გამხდარიყო. დღეს, ის ამ სფეროს და, საერთოდ, საქართველოსაც ჩამოშორებულია, და როგორც საერთაშორისო სავალუტო ბანკის თანამშრომელი, ყირგიზეთზე მუშაობს.

დღეს ეროვნულ ბანკს ჰყავს ხელმძღვანელი — გიორგი ქადაგიძე, საკმაოდ ამბიციური პიროვნება. თუნდაც ის ნაბიჯი, რაც მან გასულ პარასკევს გააკეთა, იმის დასტურია, რომ მას აქვს პასუხისმგებლობა და ჰყავს პროფესიონალთა კარგი გუნდი.

მაგრამ, ვინაიდან ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი გრძელდება, ლარის შემდგომი თანდათანობითი დევალვაცია გარდაუვალია, მთავარია არ იყოს ნახტომი.

**— ბატონო ლადო, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ საქართველო გეოპოლიტიკური თამაშების გათვალისწინებით ეკონომიკურ ჭრილში შესაძლოა მარტო აღმოჩნდეს, რუსეთთან პირისპირ დგომაც მარტოს მოუწიოს. როგორც ეკონომიკის ექსპერტი, რას იტყოდით ამაზე?**

— სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია, ეს არის ხარაჩოზე შემდგარი მუშების ფონზე პრეზიდენტის სატელევიზიო მოხსენებები. თუკი თქვენ გულისხმობთ იმას, თუ საითკენ მიდის ქვეყანა, ეკონომიკური განვითარების კუთხით, ამის განსაზღვრა ძალიან რთულია. იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, ვამბობთ, რომ გვინდა ევროინტეგრაცია, რაც აბსოლუტურად სწორია, მეორე მხრივ, პრეზიდენტი ამბობს, რომ ჩვენი ეკონომიკური მოდელი უნდა იყოს სინგაპურული. სინგაპური — ეს არის თავისუფალი ეკონომიკა საკმაოდ მკაცრი ავტორიტარული რეჟიმის პირობებში. ამით პრეზიდენტი ქვეყანას აძლევს ორმაგ შეტყობინებას, ანუ ქვეყნის ეკონომიკა უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფალი, მაგრამ რეჟიმი უნდა იყოს ავტორიტარულიო. სინგაპური არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ფასეულობათა სისტემითაც საკმაოდ დაშორებულია ევროპისგან. ჩვენი სწრაფვა სინგაპურისკენ არ არის ევროინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯი. მე არ ვიცი, მოვასწრებთ თუ არა სინგაპურამდე მისვლას, სანამ ჩაგვყლაპავს რუსეთი. და საერთოდ, გვინდა კი სინგაპური?

**— „ჩაგვყლაპავს თუ არა რუსეთი?“ — თქვენ ამაში გულისხმობთ იმ რეგიონულ ეკონომიკურ წრეს, რომელიც საქართველოს გარშემო შეიქმნა და შესაძლოა ჩვენ თამაშგარე სიტუაციაში აღმოვჩნდეთ?**

— რაც შეეხება რეგიონულ სტრატეგიას, აქ ძალიან რთული ვითარება იკვეთება. ვგულისხმობ თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნას. ეს არის რუსული პროექტი, რომელსაც უმეტესწილად თუ სხვა მიზეზთა გამო, ხელს უწყობენ ამერიკა და ევროკავშირი.

სომხეთისთვის ეს არის იდეალური ვარიანტი, თუ მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანისთვის დაბრუნების გარეშე მოახერხებს საზღვრის გახსნას და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას. თურქეთსაც უნდა, რომ კავკასიაში რეგიონალური საკითხების გადამწყვეტის ამპლუაში იყოს. ეს განცდა განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ გამოავლინა, რადგან თურქეთის აქტიურობა იწყება ომის დასრულების ფაზაში. ევროკავშირის ბიუროკრატიასაც უნდა, აჩვენოს, რომ რაღაცას აკეთებს და მოძრაობს, მაგალითად, სომხეთის მეტ ჩართულობას შეუწყო ხელი დასავლეთის მიმართულებით. ობამას ადმინისტრაციასაც სურს, აჩვენოს რაღაც დადებითი მოვლენა. პრაქტიკულად ობამას პრეზიდენტობის ერთი წლის თავზე თვალშისაცემი არის მხოლოდ ის, რომ მან არაფრისთვის მიიღო მშვიდობის დარგში ნობელის პრემია. თავისთავად კურიოზული შემთხვევა, რომ ავანსად გაიცა პრემია. ამერიკის ხედვით, სომხეთს დასავლეთისკენ უხსნის სასუნთქს. ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს ამერიკაში არსებული ძლიერი სომხური დიასპორა. რუსეთი რას თამაშობს ამ დროს? — ის თამაშობს წაუგებარ თამაშს. ჯერ ერთი, რუსეთის სამხედრო ბაზები არის სომხეთში, რაც უკვე არის იმის გარანტი, რომ აზერბაიჯანმა ვერ დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორია. რაც შეეხება ეკონომიკას, სომხეთის მსხვილი ობიექტები არის რუსების საკუთრებაში. როგორც კი გაიხსნება საზღვარი და პირდაპირ შევა თურქული კაპიტალი, რა დახვდება? — რუსული კაპიტალი. ანუ რუსეთი სომხეთს არ კარგავს. მაგრამ არის მთავარი: თუ საზღვარი გაიხსნა ისე, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემა არ მოგვარდა, ეს ნიშნავს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გაფუჭებას, ვინაიდან ამ ჟესტით თურქეთი ზურგს შეაქცევს მოძმე ერს. ამის მერე რაღა დარჩენია ბაქოს, თუ არა წავიდეს და „ჩაეხუტოს“ მოსკოვს. ამის გამო გაჩნდა ეჭვები, რომ „ნაბუკოს“ პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობა მიიღოს „გაზპრომმა“ და იქ არ იყოს აზერბაიჯანული გაზი. ამის გამო ყიდის უფრო და უფრო მეტ გაზს აზერბაიჯანი გაზპრომზე...

**— და თუ აზერბაიჯანი დაუახლოვდება რუსეთს, რას იზამს საქართველო?..**

— რუსული სამხედრო მანქანა საქართველოს ტერიტორიაზე ისედაც შემოსულია. არც საქართველოს დარჩება სხვა ძალა იმის გარდა, რომ ისევ აღმოჩნდეს რუსეთის ზეგავლენის ქვეშ.

სომხურ-თურქული დაახლოება, დარწმუნებული ვარ, არ არის რუსეთის ინიცირებული, მაგრამ ის შესანიშნავად ხედავს, რომ ეს მის ინტერესებშია.

**— თქვენი აზრით, რაზე ფიქრობს ამ დროს ჩვენი ხელისუფლება და თუ რჩება რაიმე გამოსავალი?**

— მოდით, ასე ვთქვათ: ხელისუფლება, როგორც გითხარით, ხარაჩოზე შემდგარი მუშების ფონზე აკეთებს მოხსენებებს, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში, ნებისმიერი პოლიტიკური გუნდი, ამ ვითარებაში ისე არის საქმე წასული, რაიმეს შეცვლას ვერავინ შეძლებს. ფაქტია, რომ ჩვენ სომხეთს ვერ დავუპირისპირდებით და არც უნდა დავუპირისპირდეთ. ჩვენს ინტერესებშია, რომ სომხეთს მოეხსნას ყველანაირი ეკონომიკური ბლოკადა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს რეგიონში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვის პირობებში. ჩვენ გვაქვს დაპყრობილი ტერიტორიები, ამიტომ სხვის დაპრყობილ ტერიტორიაზე ასეთივე მკაფიო მიდგომა უნდა გვქონდეს. რუსეთივით ორმაგი სტანდარტით თამაში არ შეიძლება, რადგან ის სწორედ ასე მოქმედებს კავკასიაში. სამწუხაროდ, პრაქტიკულად არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია, უკვე გვიანია. ამერიკელები მათთვის დამახასიათებელი ქცევით მაქსიმალურად შეეცდებიან ეს პროექტი ბოლომდე მიიყვანონ. შეიძლება ჩვენი ნათქვამი პესიმისტურად ჟღერდეს, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს პრეზიდენტი, საქართველოს მონაწილეობა ამ თამაშებში, სამწუხაროდ, არაფრის მომტანი არ არის...

ესაუბრა
**თეა მოსია**

## მოსაზრებები

**ოპოზიციური პარტიების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან დიალოგი აუცილებელი და გადაუდებელია. აქედან გამომდინარე, დიალოგის გასამართად რუსეთში წამსვლელ პოლიტიკოსთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. იმის გასარკვევად, თუ რა დადებით და უარყოფით შედეგებს უნდა ველოდოთ ამ დიალოგიდან, რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტიმ“ მრგვალ მაგიდას უმასპინძლა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ: დეპუტატი პეტრე მამრაძე, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი ხუციშვილი, პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე და კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა...**

# აუცილებელია თუ არა დიალოგი რუსეთთან?



საუბრის დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, ორი განსხვავებული აზრი გამოიკვეთა, პირველი, აუცილებელია რუსეთთან დიალოგი და მეორე — ეს ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი ხუციშვილი ფიქრობს, რომ რუსეთთან დიალოგის დაწყება აუცილებელი და გადაუდებელია. მისი აზრით, ამ ურთიერთობებით, რუსეთი დარწმუნდება ჩვენს ლეგიტიმურ ინტერესებში. საქართველო კი მოიპოვებს ნდობას მეზობელ ქვეყნებში, რაც ხელს შეუწყობს აფხაზ და ოს ხალხთან ქართველების დაახლოებას. „რუსეთთან დიალოგის დაწყება წინ გადადგმული ნაბიჯია ტერიტორიების დასაბრუნებლად, აუცილებელია ჩვენი პოზიციების დაახლოება და საერთო შეხების წერტილების გამოძებნა. გამოვრიცხავ რუსეთთან ბოიკოტს, ვინაიდან ეს მეტად დაამძიმებს ვითარებას. სახელმწიფო ტელევიზიების დახმარებით, საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი, რაზე უნდა ველაპარაკოთ ქვეყანას, რომელმაც მოგვიწყო ომი, დაგვიწვა და წაგვართვა ტერიტორიები, და თუ ვინმე გაბედავს დიალოგს, ის ჯაშუშია. რა თქმა უნდა, ეს არის არასწორი მიდგომა... აბსურდის თეატრში მგონია თავი, როდესაც ვისმენ, რომ ჩვენი ვირტუალური მეზობლები დაგვეხმარებიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაში“.

პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე ფიქრობს, რომ აუცილებელია რუსეთთან საერთო ინტერესების გამონახვა და დიალოგი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი უარს იტყვის საქრთველოს ტერიტორიების აღიარებაზე, რუსეთთან დიალოგი მნიშვნელოვანია, თუმცა ვერ ვხვდები, რაზე უნდა ველაპარაკო რუსეთს, ვინაიდან პუტინი ღიად აცხადებს, რომ არ იტყვის უარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე. ამ ეტაპზე რუსეთთან დიალოგი ნიშნავს ოკუპირებულ ტერიტორიებთან შეგუებას“.

შარაშენიძის ამ მოსაზრებამ კახა კუკავას უკმაყოფილება გამოიწვია და საუბარი მწვავე კამათში გადაიზარდა.

„ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ შევხვდებით რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს და ჯიბეში ჩაგვიცურებენ სამხრეთ ოსეთის ან აფხაზეთის გასაღებს. მაშინ ამიხსენით, სხვა ისეთი რა ალტერნატივა გვაქვს, რომ ტერიტორიები დაგვიბრუნონ? მაშინ დამარწმუნეთ, რომ ბოიკოტი, ან წინაპირობების დაყენება ან პუტინის გადაყენება, ან ჩრდილო კავკასიის აფეთქება, უფრო ეფექტიანი საშუალებაა ამ ეტაპზე, ვიდრე პირდაპირი დიალოგი“.

**ხანგრძლივი კამათი დაახლოებით ორ საათამდე გაგრძელდა, თუმცა საბოლოოდ ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და იქ ქართული იურისდიქციის აღდგენა პირველი პრიორიტეტული საკითხია.**

თინათინ ბორცვაძე.
მურად ალაშვილის ფოტო

**◉ სოფლის შენებას რა უნდა...**

***ნამდვილად** არის თუ არა ჩვენი მთავრობა ჩიტირეკია, ამის დასტურად იმდენი დოკუმენტურად დასურათხატებული მასალა მოიძევება საქართველოში, რომ მკითხველისთვის შეთავაზებად და დროის დაკარგვად არა ღირს. სულ სხვა საქმეა პიარრეკია რეფორმები, რომელთა ავტორი და რეალიზატორი თავად ჩიტირეკია ხელისუფლება გახლავთ და რომელთა წყალობითაც საქართველომ, როგორც წარმატებულმა რეფორმატორმა ქვეყანამ, მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. ამის ჩქმალვა და მალვა უჭირს, ძალიანაც უჭირს ჩვენს მორიდებულ და თავშეკავებულ პრეზიდენტს, მაგრამ იძულებულია, აუცილებლობისა გამო, ზოგჯერ მაინც წაიტრაბახოს.*

# ჩიტირეკია მთავრობის პიარრეკია რეფორმები

## გლეხს თავის რჩენა აღარ შეუძლია



იმ ისტორიულად შთამბეჭდავი რეფორმების შემდეგ, რომელიც განხორციელდა ქვეყნის სასამართლო სისტემაში, ეკონომიკაში, მეცნიერებისა და სასკოლო განათლების, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში, საქებარსა და სატრაბახოს რა გამოლევს, მაგრამ სახელმწიფოს მეთაური თავის ბოლოდროინდელ გამოსვლებში უფრო ნაკლსა და საკრიტიკოს მიეტანა, ვიდრე მიღწეულსა და წარმატებულს. **ბატონი მიხეილის გამჭრიახ თვალს, მაგალითად, არ გამოეპარა, რომ სკოლებში, რომლის რეფორმირებას მილიონები მოხმარდა, უფროსკლასელები საერთოდ აღარ დადიან. სწავლების მთელი აქცენტი გადატანილია მოსწავლეებში უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და არა მეცნიერების საფუძვლების ათვისებაზე, რაც რეფორმის მიმდინარეობას ჩიხურ პრობლემებს უქმნის. მან მოურიდებლად ილაპარაკა სხვა არსებით ნაკლოვანებებზეც და რეფორმის ავტორებს უვიცები უწოდა.** უფრო ადრე პრეზიდენტი ასევე მწვავედ შეეხო ჯანდაცვის რეფორმირებაში არსებულ ჩავარდნებს, უვარგის, მოუქნელ სამედიცინო მომსახურებას და ფარმაცევტულ ქსელში წამლების არნახულ სიძვირეს. ერთი სიტყვით, რაღა დაგიმალოთ და (ამას თავად პრეზიდენტიც ველარ მალავს), საქართველოში, ფაქტია, რომ წარმატებით მიმდინარე რეფორმებმა ასევე წარმატებით ჩაისვარა.

**ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს სოფელია, რომელიც რეფორმირებას როგორღაც გადაურჩა, მაგრამ განადგურებას — ვერა.** თუმცა არა მგონია, იმ აზრს, რომ სოფლის მეურნეობას რეფორმები ახლოსაც არ გაკარებია, ხელისუფლება თვალხუჭელა ეთანხმებოდეს. რას ჰქვია, არ გაკარებია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო გადაყოლილია ამ საქმესო, გეტყვიან, და თუ არ დაუჯერებთ, მერე მაგალითების მოშველიებითაც შეეცდებიან თქვენს გადარწმუნებას. მაგალითების მოძებნა კი, იცოცხლეთ, არ გაუჭირდებათ. კერძოდ:

— მარტო იმ სიკეთეს რა აწონის, რაც პირადად პრეზიდენტ სააკაშვილს გაუწევია ჩვენი გლეხობისათვის. განა ვინმეს ალურიცხავს, რამდენჯერ ჩამოურიგა მათ თითო კანისტრა დიზელის საწვავი გაზაფხულობით ან შეშის ვაუჩერები ზამთრობით, როცა გაუსაძლისი გაჭირვებისა და უსახსრობის გამო მათ არც ერთის შეძენა შეეძლოთ და არც მეორესი.

— ტრაქტორები რომ დაურიგდა სოფლებს, ამაზე რას იტყვით? მართალია ყველას არ შეხვდა და ბევრგან 3-4 სოფელში საზიარო ტრაქტორი მუშაობს, მაგრამ სულ უარაობას მაინც ხომ ესა სჯობს?

— კახელ მევენახეებს ჯერაც არ განელებიათ აღფრთოვანება იმ დახმარების გამო, რაც მათ სახელმწიფომ შარშან რთვლობის პერიოდში გაუწია. თითოეულმა გლეხმა ღვინის ქარხნისათვის ჩაბარებულ ყოველ კილოგრამ საფერავსა თუ რქაწითელში, საწარმოს მიერ გადახდილი თანხის გარდა, სახელმწიფო სუბსიდირებიდან დამატებით კიდევ 15 თეთრი, მიიღო, რამაც მათი საოჯახო შემოსავლები საგრძნობლად გაზარდა.

— ქართლსა და აჭარაში გაიხსნა ხილისა და ციტრუსების გადამმუშავებელი საწარმოები, რომლებმაც გლეხობისგან დამზადებული პროდუქცია შეუფერხებლივ მიიღეს.

ამას და ბევრ სხვა რამესაც სულ ზეპირად ჩამოგირაკრაკებენ, მაგრამ **იმას არავინ ანგარიშობს, სახელმწიფოსგან პერიოდულად გაღებული (ძირითადად არჩევნების წინ) „საჩუქრები" რამდენად აბალანსებს გლეხის მიერ ამა თუ იმ პროდუქციის საწარმოებლად გაწეულ ხარჯებს. ხილის გადამმუშავებელი საწარმო რომ გლეხისგან კილოგრამ ვაშლს 4 თეთრად ჩაიბარებს (ის 4 თეთრი მარტო ქარხნამდე ხილის ტრანსპორტირების ხარჯს არ ჰყოფნის), როგორ ფიქრობთ, ის გლეხი სამერმისოდ კიდევ მიუბრუნდება სამუშაოდ ხეხილის ბაღებს?**

**არა, არავითარ შემთხვევაში აღარ მიუბრუნდება. ამიტომაც დაიცალა ქართული სოფლები იქაურთაგან, გლეხის შრომა, მის მიერ წარმოებული პროდუქცია საკუთარ ქვეყანაში არაკონკურენტული გახდა. ის არა თუ ქვეყანას, საკუთარ თავსაც ველარ არჩენს, იძულებულია მშობლიური სოფლიდან აიყაროს და ლუკმაპურის საძიებლად ქალაქს შეეკედლოს.** თუ ამას დავარქმევთ რეფორმას, კი ბატონო, ვაღიაროთ, რომ ყველაზე წარმატებული რეფორმა სოფლად გამოგვსვლია!

ეს წარმატება თვალნათლივ იგრძნობა სამომხმარებლო ბაზრის თაროებზე, საიდანაც მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილმა მდარე ხარისხის პროდუქციამ თითქმის მთლიანად განდევნა ეკოლოგიურად გაცილებით სუფთა და ხარისხიანი ქართული კარტოფილი, ხახვი, კიტრი, პამიდორი და სხვა უამრავი რამ, ტომატი და კიტრის მწნილიც კი უცხოეთიდან შემოგვაქვს. ამას უყურებს ხელისუფლება და ქვეყნის სატკივარი სულაც არ ანაღვლებს.

მთავრობას და პრეზიდენტს რეფორმებზე ლაპარაკით ყბები გადაცვდათ, სოფლის მეურნეობის განვითარების ჩამოყალიბებული და გრძელვადიანი პროგრამა კი დღემდე ვერ შეუდგენიათ. წინ თუ არ იყურებიან, სტატისტიკის მონაცემებში ხომ მაინც უნდა ჩაიხედონ, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ **საქართველოში 1990-2007 წლებში ნათესი ფართობები 700 ათასი ჰექტარიდან 297 ჰექტარამდე შემცირდა. პროგრესს ვინ ჩივის, ქართველ გლეხს სარწყავი სისტემის პრობლემაც ვერ მოუგვარებია და მიწას კვლავაც საუკუნის წინანდელი მეთოდებით ამუშავებს.**

თუ გვინდა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა გაიზარდოს, აქცენტი სოფლად მეცნიერული მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვაზე უნდა გაკეთდეს და არა გლეხობის ერთჯერად დასაჩუქრება-დახმარებაზე. დროა სოფლის მეურნეობაში დაიწყოს გამსხვილების პროცესი, განვითარდეს ფერმერული მეურნეობები და სხვ.

ჩვენი გლეხი, რომელსაც ერთი-ორი ძროხა და რამდენიმე ქათამი უკრიახებს ეზოში, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუწევს კონკურენციას მეზობელ თურქს, რომელიც გაცილებით მეტს და, შესაბამისად, გაცილებით იაფად აწარმოებს. იგივე ითქმის ხორბალზე, რომლის დიდი ნორმით თესვა სულაც არ ნიშნავს დიდ მოსავალს. ამის მაგალითად გამოდგება პროფესორ რამაზ გახოკიძის მიერ შექმნილი ბიოენერგოაქტივატორი „ბიორაგი", რომლის დანერგვითაც საგრძნობლად მცირდება სათესლე მარცვლის ოდენობა, მოსავლიანობა კი სასწაულებრივად იზრდება. შარშან სოფელ კუმისში, სადაც კახური დოლის პური ამ მეთოდით დათესეს და მოუარეს, ჰექტარზე საშუალოდ 8-10 ტონა მოსავალი მიიღეს, მაშინ როცა მეზობლად იმავე ფართობზე 900 კილოგრამი ძლივს მოიწიეს.

დღეს ქართველი გლეხის მთავარი პრობლემა გახლავთ მიწის ერთეულზე წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მცირე რაოდენობა და მასზე გაწეული შრომისა და წარმოების ხარჯების არაეფექტიანობა. ამიტომ ხელისუფლებამ, თუ მას სურს გლეხს და ფერმერს დაეხმაროს, არა ფასების ხელოვნურად მომატებაზე, არამედ პროდუქტიულობის გაზრდაზე და მის მაღალ ხარისხზე უნდა იზრუნოს.

**ამის გაკეთება ძნელია, გლეხობისთვის შიგადაშიგ იაფფასიანი „საჩუქრების" გადაგდება კი იოლი და სარფიანი. კანისტრა საწვავს ჩამოუსხამ, ყურძენს, ხილსა და ციტრუსს ჩააბარებინებ და გლეხს საითაც გაუშვერ ხელს, იქით გამოგყვება. ჰოდა, მთავრობა იმის ჩიტია, სხვაგვარად მოიქცეს? თანაც ახლა, როცა არჩევნები კარს მოგვდგომია!**

**ოთარ ხუციშვილი**

**◉ მეცნიერება — ქვეყნის სამსახურში**

# ახლა თიხა-ფიქალიც გაგვიხდა საფიქრალი...

## საქართველოში ფიქლის აირის წარმოების წამოწყების ეკონომიკური ეფექტიანობა დამაიმედებელი ჩანს

**ეს კაცი — წინამდებარე წერილის გმირზე მოგახსენებთ — ისეთ საერო საქმეს შეეჭიდა, რომ მკითხველისთვის ფართოდ იმის წარდგენას უნდა შევეცადო და ერთ დროს პოპულარული და გახმაურებული საბჭოთა კინოსერიალიც გამოვიყენო, „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება"...**

ინფორმაცია განსჯისათვის: ირაკლი შეყრილაძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს სრული პროფესორი, საქართველოს პარლამენტის ექსპერტ-კონსულტანტი; თბოგადაცემის (თბოაირმომარაგების) დარგის თვალსაჩინო სპეციალისტი 200-მდე შრომის (იმათ რიცხვში 3 მონოგრაფიის) ავტორია და სწორედ თბოგადაცემისა და თერმოდინამიკის სფეროში მსოფლიო მასშტაბით ითვლება ერთ-ერთ წამყვან მეცნიერად; ამის მკაფიო გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი გარემოებანი: ირაკლი შეყრილაძე გახლავთ საერთაშორისო ინგლისურენოვანი ელექტრონული ჟურნალის „The Open Mechanical Engineering Journal" (მექანიკური ინჟინერიკის ღია ჟურნალი) რედაქტორი თბოგადაცემისა და თერმოდინამიკის სფეროში და 10 წლის განმავლობაში გახლდათ საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის ექსპერტი (ქარტიის შტაბ-ბინა ბრიუსელში).

ხსენებული ჟურნალი ეკუთვნის გამომცემლობას Bentham Science Publishers (ჰოლანდია, აშშ, პაკისტანი).

ახლა კი იმ საქვეყნო საქმეს შევეხოთ, რომელიც პროფესორმა ირაკლი შეყრილაძემ წამოიწყო.

ბოლო თვეებში (გასაგებია, წინა წლიდან დაწყებული) თურმე უცხოურ მასმედიაში ავარდა იმ სტატიების ბუმი, რომლებიც მსოფლიოში ენერგეტიკული სიტუაციის განვითარების ახალ ტენდენციებს ეძღვნება: „თიხა-ფიქლის აირი აფეთქებს მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარს"; „ევროპა იწყებს თიხა-ფიქლის აირის ძიებას"; „ახალი ტექნოლოგიები ამძაფრებს ბუნებრივი აირის მარულას"; „კონოკო პოლონური თიხა-ფიქლის აირზე ამყარებს იმედს"; „შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა ბუნებრივი აირის ახალ წყაროს მიაგნეს"... — ამგვარი და კიდევ არაერთი სხვა სტატიითაა აჭრელებული ფრიად ავტორიტეტული პრესა.

დედამიწაზე თიხა-ფიქლის საბადოები უხვად ყოფილა გავრცელებული, მაგრამ თუ აშშ-სა და კანადაში ფიქლის აირის მოპოვება გვარიანადაა აწყობილი, მათს გარეთ ენერგეტიკულ ასპექტში მარაგების შესწავლა მხოლოდ ახლა იწყება. საგულისხმოა ენერგეტიკული კვლევის კემბრიჯის ასოციაციის მონაცემები: აირის ალტერნატიული მარაგები გლობალურად 16 კვადრილიონი კუბური მეტრის(!) რიგისაა, რაც ორჯერ აღემატება ამჟამად დადგენილ ჯამურ მსოფლიო რესურსს! თიხა-ფიქლის საბადოები, ამერიკის გარდა, ევროპის მრავალ რეგიონშია განლაგებული — მაგალითად, ავსტრიის დედაქალაქის, გერმანიის ზოგიერთი ინდუსტრიული ცენტრის ზონებში, პოლონეთის ბალტიის ზღვის სანაპიროზე და ასე შემდეგ.



ასეთი საბადოები ფართო გავრცელების წყალობით, თუ წინა პლანზე გამოდის ფიქლის აირის მოპოვების დანახარჯები, ტრანსპორტირებისა უკრაინაზე რჩება. ამ მოპოვების განვითარება შესაძლებელია სწრაფად და ფართო ფრონტით, რაც პრაქტიკულად მოხსნის ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკური თუ პოლიტიკური დიქტატის პრობლემას შესაბამისი პოლიტიკური შედეგებითურთ.

ანგარიშგასაწევია ფიქლის აირის მოპოვების განვითარების გარემოსდაცვითი მნიშვნელობაც (სითბური აირების გამოყოფის შემცირების ასპექტში).

ვნახოთ, გადმოცემული სურათის შემდეგ, როგორია საქართველოს პერსპექტივები. ქვეყნის ტერიტორიაზე თიხა-ფიქლის მძლავრი გამოსავლები დაკავშირებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ნაოჭა სისტემასთან და ასაკობრივად მიეკუთვნება ქვედა იურას (ლიასს). ეს კი გამწე, უწყვეტ და ფართო ზოლად ვრცელდება აფხაზეთიდან ალაზანგალმა მთიან კახეთამდე. ამ წყებითაა აგებული ჩხალთა-ლაილაშისა და ყაზბეგ-ლაგოდეხის მსხვილი ტექტონიკური ზონები.

ლიასის თიხა-ფიქალში საწვავი აირის დიდი მარაგის შესაძლო არსებობა იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ ის 1-3 პროცენტამდე ორგანული კომპონენტის შემცველია.

საქართველოს აქვს ფიქლის აირის მასშტაბური მოპოვების ერთობ გამოკვეთილი პერსპექტივა. რასაკვირველია, საჭირო გახდება ადგილზე გამოკვლევა ახალი ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობისა. სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს მოპოვების ეკოლოგიური ასპექტიც, თუმცა ტექნოლოგიების ისეთი მაღალი ეკოლოგიური სტანდარტების ქვეყნებიდან მოდის, როგორიც აშშ და კანადაა, რაც ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს.

წინასწარი შეფასებით, საქართველოში ფიქლის აირის წარმოების წამოწყების ეკონომიკური ეფექტურობაც დამაიმედებელი ჩანს; რაც მთავარია, ბუნებრივი აირის საკუთარი მასშტაბური მოპოვება არსებითად აამაღლებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას.

ამრიგად, დღის წესრიგში დგება ამოცანა: პერსპექტივა საქართველოს თიხა-ფიქლის გადაქცევისა სტრატეგიულ ენერგორესურსად, ჯეროვნად გავიზაროთ, შევაფასოთ და შესაბამისად გონივრული, მიზანდასახული მუშაობა დროულად წამოვიწყოთ.

ბატონმა ირაკლიმ, პირადად, „ეს მუშაობა" უკვე წამოიწყო. მესამე თვეა, რაც მთელი ამ თემატიკით დაინტერესდა (მას აქეთ, რაც ფიქლის აირის ცნებას გადააწყდა), თვითონაც აფორიაქდა და სხვებიც „ააფორიაქა": ჯერ შარშან, დეკემბერში, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან (თავმჯდომარე გიორგი მელაძე) არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე (რომლის წევრიც არის) წინადადებით წარდგა საქართველოს თიხა-ფიქლის მარაგთა შესაძლო ენერგეტიკული გამოყენების შესახებ, შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების ხელმძღვანელს, აკადემიკოს მინდია სალუქვაძეს ეწვია, როგორც იტყვიან, საქმის კურსში შეიყვანა და ფრიად დააინტერესა კიდევაც.

ვიზიტის შედეგი იყო, რომ ბატონი მინდია მოეთათბირა სმეა-ს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელს, აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძეს და ახლახან შედგა ამ ორი განყოფილების გაერთიანებული სხდომა შესაბამისი პროფილების ინსტიტუტების წარმომადგენელთა დასწრებით.

„თიხა-ფიქლის ბუნებრივი აირის ენერგეტიკული პოტენციალის შესახებ" — ასეთი, „ეკრანიზებული", მოხსენება წაიკითხა პროფესორმა ირაკლი შეყრილაძემ ამ ერთობ წარმომადგენლობით შეკრებაზე და თამამად ვიტყვი, ცხოველი ინტერესიც გამოიწვია. იყო ბევრი შეკითხვა, მოწონების გამოხატვა, პრობლემის მნიშვნელობის ხაზგასმა, ეჭვების გამოთქმა. განსაკუთრებით საყურადღებო გამოჩნდა პრობლემის გეოლოგიური და ტექნოლოგიური ასპექტების დაზუსტებისა და შემდგომი კვლევის აუცილებლობაზე გამოთქმული შენიშვნები. მთავარი, რომ „ყინული დაიძრა", როგორც იტყოდა არცთუ უსახელო ოსტაპ ბენდერი და ახლა ყველა, ვინც ჯერ არს, უნდა შეეცადოს სასიკეთოდ გალღობას, რა თქმა უნდა, ხელისუფლების არსებითი ჩარევითა და ხელშეწყობით.

**...ბატონმა ირაკლიმ, თითქოს გვარის გამართლებით, უკვე „შეყარა" საზოგადოება ამ დიდებულ საქვეყნო საქმეზე დასაფიქრებლად, წინ ძნელი აღმართია, თუმცა ახალგაზრდობაში ორჯერ უშბის დამპყრობს, ალბათ, არ უნდა გაუჭირდეს აღმასვლა...**

**თამაზ ეზანოიძე**

◎ წარდგენა

**ასე ჰქვია წიგნს, რომლის წარდგენაც „თიბი-სი ბანკის“ საგამოფენო დარბაზში გაიმართა.**

წიგნი თენგიზ აბულაძის იუბილესთან დაკავშირებით შეიქმნა. 2009 წელს დიდი რეჟისორის დაბადებიდან 85 წელი შესრულდა, წიგნი მოგონებებზეა აგებული და ქართული კინოს ისტორიის „ოქროს ხანად“ აღიარებულ პერიოდს ეხება. მასში იმ ადამიანების მოგონებებია, რომლებიც თენგიზ აბულაძესთან ერთად სკოლაში, თეატრალურ ინსტიტუტში, მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში სწავლობდნენ და შემდეგ რეჟისორთან ერთად მუშაობდნენ.

ამ გამოცემაში ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულის მთელი ეპოქა იხატება, სასკოლო თეატრებიდან დაწყებული და თბილისის თეატრალური ინსტიტუტითა და




# „თენგიზ აბულაძე. ანარეკლები“

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ცხოვრებით დამთავრებული, ჩვენს კინოში სრულიად ახალი ტალღის, ნეორეალიზმის მოსვლით დაწყებული („მაგდანას ლურჯა“) და საბჭოთა იმპერიის ნგრევის მომასწავებელი, უნიკალური ფილმით („მონანიება“) დამთავრებული.



წიგნის შემდგენლები არიან ნანა ჯანელიძე და ნინო ნატროშვილი.

წიგნი 246-გვერდიანია და გამდიდრებულია ფოტომასალით. წიგნს ერთვის თენგიზ აბულაძის ცხოვრების და შემოქმედების მნიშვნელოვანი თარილების ჩამონათვალი და ფილმოგრაფია.

პრეზენტაციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ცნობილი კინემატოგრაფისტები და ქართული კულტურის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები, ნანა ჯანელიძის დოკუმენტური ფილმი „თენგიზ აბულაძე“ აჩვენეს.

ქართული თეატრისა და კინოს, დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებმა გამოხატეს სიხარული, მადლიერება და კმაყოფილება საყვარელ კინორეჟისორზე შექმნილი წიგნისა და ფილმისთვის.

**მამია ალაშვილი**

ავტორის ფოტო



◎ გვეხმაურებიან

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2009 წლის 23 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „იაკობ ხუცესი ჰერეთელი ყოფილა“.**

წერილის ავტორი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, უაპელაციოდ აცხადებს, რომ იაკობ ხუცესი-ცურტაველი თითქოს წარმოშობით ჰერეთელია და აქვე დაუწერია თავისი თხზულება „წამებაი წმინდისა შუშანიკისაი“.

მოვუსმინოთ ვახუშტი ბაგრატიონს, იგი წერს: **„ჭაპალას ჩრდილოთ, ქციის კბოდეზედ, არს არქევანი, — ამას ეწოდება ქაოზიანი, სადაც არს დიდი-დიდნი ნაშენნი. ესევე არს გაჩიანი“.** ვახუშტის ამ მოსაზრებას ასე განმარტავს ისტორიკოსი კობა ხარაძე თავის წიგნში — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი“: **„ქაოზიანი-არქევანის ძველი სახელი ყოფილა. XI საუკუნიდან იხსენიება როგორც ძლიერი ციხე. მკვლევართა მიხედვით ეს ციხე იგივე ჭაპალას ციხე ყოფილა. ამასთან, თუ ეს ასეა, მაშინ ვახუშტით იგივე გაჩიანია, ე. ი. ცურტავი“.**

# ცურტავი ბოლნისის ტერიტორიაზე მდებარეობდა!

მიხეილ ყულოშვილი წერს: **„ცურტავიდან იწყებოდა ჰერეთის საზღვარი ხუნანი... ჰერეთი ქართლის საეპისკოპოსოში შედიოდა, რომელიც დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული. სწორედ აქ „საზღვართა ჰერეთისასა დაწერილია იაკობ (ხუცესი) ცურტაველის წამებაი წმინდისა შუშანიკისაი“...**

ამ საგაზეთო წერილში სხვა „მარგალიტებიც“ გვხვდება. აშკარაა, რომ ავტორი მხოლოდ საკუთარ, სუბიექტურ აზრს გამოხატავს, რაც, სხვა თუ არაფერი, არაეთიკურია.

ახლა მოვუსმინოთ მეცნიერებს, ისტორიკოსებს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ ისტორიული ძველი ცურტავი, როგორც ქალაქი ქვემო ქართლისა, საპიტიახშოში მდებარეობდა, დღევანდელი ბოლნისის ტერიტორიაზე.

ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილ ისტორიული რუკის მიხედვით ქვემო ქართლის საპიტიახშოს ძირითადი ტერიტორია ბოლნისისა და სამშვილდის რაიონებს მოიცავს. ესაა დაახლოებით თბილისის სამხრეთით მდებარე ტერიტორია; აღმოსავლეთით მას მტკვარი უნდა საზღვრავდეს ისტორიული ჰერეთიდან, სამხრეთით — კანგარის მთები სომხეთიდან და დასავლეთით — თრიალეთი და ჯავახეთი (მარტო ეს არგუმენტი კმარა იაკობ ცურტაველის ჰერეთელობის გასაბათილებლად).

ისტორიკოსები საპიტიახშოს ცენტრად ცურტავს ვარაუდობენ. **„სადაც არის პიტიახშის ტაძარი, ანუ სასახლე, სასახლის საეპისკოპოსო და მასზე დაცილებით კიდევ აგრეთვე ციხეც“** (აკადემიკოსი ილია აბულაძე). იმავე ცურტავს ასახელებს „პიტიახშის სახლის კარად“ მოსე ცურტავის ეპისკოპოსი.

სამწუხაროდ, გეოგრაფიული სახელი ცურტავი ადრე დაიკარგა. X საუკუნეში გეოგრაფიული პუნქტი ასეთი სახელწოდებით აღარ არსებობს. ამავე საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი წერს, რომ **„ცურტავი ეს სახელი, რომელსაც მუდამ და ყოველთვის ვახსენებდით და აქაც მოვიხსენიებთ, მაშინ ერქვა, ხოლო ახლა ეწოდება გაჩიანი... ცურტავი სამკვიდრებელი იყო გუგარელთა დიდი პიტიახშისა“.**

მოტანილი ცნობის საფუძველზე მკვლევართა დიდი ნაწილი ცურტავს გაჩიანთან აიგივებს, თუმცა არის მოსაზრება, რომელიც მას ჭაპალას ციხეში ეძებს (პროფესორი დევი ბერძენიშვილი). აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს კი შესაძლებლად მიაჩნია, **„რომ ბოლნისი იყო იგივე ცურტავიო“.** ამ ვერსიას ემხრობა აგრეთვე აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე („ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“).

იგივე სომეხი ისტორიკოსის უხტანესის მონაცემებზე დაყრდნობით მის მიერ ნახსენებ **„გაგენაგეტში უნდა იგულისხმებოდეს მაშავერა და გაჩიანის მდებარეობა“,** — წერს კობა ხარაძე. **„ამიტომ გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს მისი არსებობა მაშავერის შესართავთან, ქციის მარჯვენა ნაპირას, ანუ არქევანის მიდამოებში“,** — დაასკვნის ისტორიკოსი.

ცნობილი სომეხი მკვლევარის — ლეონ მელიქსეთბეგის მტკიცებით ცურტავი დღევანდელი ნახიდური უნდა იყოს. ეს ვარაუდი ისტორიკოსებს საინტერესოდ მიაჩნდათ, რადგან ისტორიული ნახიდური წარმოადგენდა ძველ ციხე-ქალაქს, სადაც ამჟამად უამრავი ნანგრევებია შემორჩენილი...

თვით იაკობ ცურტაველის თხზულებიდანაც კარგად ჩანს, რომ ცურტავი ცხელ, ხრიოკ და მავნე წყლებთან არის დაკავშირებული. ამასთან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცურტავის ახლოს პიტიახშის სასახლე და ციხეა. შუშანიკი დაამწყვდიეს იმ ციხეში, რომელიც ცურტავთან ახლოს იყო.

ნიკო ბერძენიშვილმა ჯერ კიდევ 1960 წელს გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს ციხე შესაძლებელია იყოს ჭაპალასთან მდგარი ამავე დასახელების ციხეო. ეს ადგილი ჰავითაც და ადგილმდებარეობითაც ეხამება იაკობ ცურტაველის თხზულებაში აღწერილს:

**„ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალებაი მზისაი, ქარნი ხორშაკნი (ცხელი, დამწველი) და წყალნი მავნებელნი“...**

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში აქაური სასმელი წყლის უვარგისობაზე წერდა ერთი რუსი სამთო ინჟინერი, რომელიც მეფის რუსეთის მიერ იყო გამოგზავნილი საქართველოში გეოლოგიური დაზვერვის ჩასატარებლად.

ამრიგად, უდავოა, რომ გეოგრაფიული პუნქტი ცურტავი ქვემო ქართლში, კერძოდ, ბოლნისის ტერიტორიაზე მდებარეობდა და არა ჰერეთში (დღევანდელ საინგილოში), როგორც ზემოთ მოყვანილი საგაზეთო წერილის ავტორი გვიმტკიცებს.

და ბოლოს, ისტორიული ქალაქი ცურტავი არაბთა შემოსევის დროს უნდა განადგურებულიყო — ასეთია მეცნიერთა საერთო აზრი.

**ზურაბ ერისთავი,**

**ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი**

◎ პირველად ჩვენთან...

# თურქეთი ქართულ ხელოვნებაში

**საქართველოში პირველად, თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა თურქეთისადმი მიძღვნილი გამოფენა — „თურქეთი ქართულ ხელოვნებაში.“**

საგამოფენოდ საგანგებოდ მომზადდა ცნობილი ქართული მხატვრული ფილმების კოსტიუმები და ესკიზები, მათგან ბევრი კოსტიუმი — ნამდვილი ოქროსა და ვერცხლის გამოყენებით. აღსანიშნავია ლადო გუდიაშვილისა და სოლიკო ვირსალაძის მიერ ქართული ფილმებისა და სპექტაკლებისათვის შესრულებული თურქული (ოსმალური) კოსტიუმების ესკიზები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი თურქი მწერლისა და დრამატურგის ნაზიმ ჰიქმეთის პიესის „სიყვარულის ძალის“ უნიკალური ესკიზები.

დამთვალიერებელმა პირველად იხილა კოტე მარჯანიშვილის ე.წ. „ოქროს წიგნის“ (მსოფლიო კოსტიუმის ისტორია) თურქული კოსტიუმების ესკიზები. ეს წიგნი საქართველოში ერთადერთ ეგზემპლარადაა დაცული. მისი ბეჭდვის დროს ოქროს ფენაა გამოყენებული, რის გამოც 200 წლის გრავიურებმა ფერთა პირველადი პალიტრა შეინარჩუნა.

დარბაზში გამოფენილი ყველაზე ძველი ექსპონატი მე-13 საუკუნით დათარიღებული ვერცხლის მონეტაა, რომელიც სელჯუკთა პრინცმა ქაიხუსრევმა ქართველ დედოფალს, თამარ მეფის შვილიშვილს გურჯი ხათუნს მარადიული სიყვარულის ნიშნად მიუძღვნა. ამ გრძნობის ნიშნად სულთანმა მონეტაზე შეყვარებული მზე და ლომი გამოსახა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ერთ-ერთი ძვირფასი კოლექცია — 50 ფოტო. მათი ავტორები სულთნის პირადი ფოტოგრაფი აბდულა ფერერი და ვლადიმერ ერმაკოვია. ფოტოები 1877-1878 წლებს შორის თურქეთშია გადაღებული და ქვეყნის ისეთ ისტორიულ ადგილებს ასახავს, რომელთა უმეტესობა დღეს ან არ არსებობს ან სახე იცვალა.

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ ამ გამოფენას მუზეუმის ისტორიაში ყველაზე ლამაზი გამოფენა უწოდა: „1927 წელს დაარსებულ ჩვენი მუზეუმის საგანძურში თავი მოიყარა თურქული ხელოვნების უნიკალურმა ნიმუშებმა, რომლებიც არა მარტო ამ სასახლის ისტორიაში, არამედ, საერთოდ, პირველად იფინება. უნიკალურ თურქულ ესკიზებთან ერთად გამოვფინეთ ოქროთი და ვერცხლით გაფორმებული ოსმალური იარაღი. ამ უნიკალურმა იარაღმა პირველად დატოვა დადიანების სასახლის საცავები და თბილისში გადმოინაცვლა, რათა თქვენთვის გვეჩვენებინა.“



თურქეთ-საქართველოს ისტორიულ კავშირზე და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებაზე ისაუბრეს: თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **ლევენთ მურათ ბურჰანმა,** თურქეთის აღორძინებისა და თანამშრომლობის კავშირის თბილისის საკოორდინაციო ბიუროს ხელმძღვანელმა **სელიმ ქუშიმ,** მომღერალმა **ბაიარ შაჰინმა.**

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ **ინგა ქარაიამ,** საქართველოს სამუზეუმო საზოგადოების სახელით, მადლობა გადაუხადა „ჯეოსელის“ მესვეურს **ოსმან თურანს,** თურქეთის აღორძინებისა და თანამშრომლობის კავშირს, თურქეთის ელჩს საქართველოში ამ შესანიშნავი გამოფენისთვის, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ სტამბოლის პრესტიჟულ მუზეუმში იქნება წარმოდგენილი.



„ეს გამოფენა უდავოდ ხელს შეუწყობს ჩვენი კულტურების კიდევ უფრო მეტად დაახლოებას. ჩვენ ინტენსიურად ვთანამშრომლობთ თურქ კოლეგებთან, ვგულისხმობ მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს, რომლის თაოსნობით წლეულს საქართველოში იმართება საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ჩვენი თურქი კოლეგებიც მიიღებენ მონაწილეობას სტამბოლისა და ანკარის მუზეუმებიდან,“ — განაცხადა ინგა ქარაიამ.

გამოფენის გახსნაზე, აჭარის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გვარის თავდგირიძეების წარმომადგენელმა მურად ცინცარაძემ თავისი წინაპრების ბიბლიოთეკის ნაწილი და მე-18 საუკუნით დათარიღებული ჰიჯაბი საქართველოს თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა. ოქრომკედითა და უნიკალური ორნამენტებით გაფორმებული ჰიჯაბი გამოსასვლელი ჩადრის სახეობაა. როდესაც აჭარა ოსმალეთის შემადგენლობაში იყო, ჰიჯაბს ქართველი ქალები სახლიდან გასვლის დროს იკეთებდნენ.

გიორგი კალანდიამ მადლიერებით მოიხსენია თურქეთის აღორძინებისა და თანამშრომლობის კავშირი Tika, რომელმაც გამოფენა დააფინანსა, ასევე, აღნიშნა კომპანია „ჯეოსელის“ ღვაწლი ამ საქმეში და ოსმან თურანს ქართულ-თურქული მეგობრობის სიმბოლო უწოდა. გამოფენის მხარდამჭერია კომპანია „ბეკოც.“ გიორგი კალანდიამ სტუდია „პოზიტივის“ გენერალურ დირექტორს ალექსანდრე მურღულიას გადასცა თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის საგანგებო მადლიერების სიგელი, რადგან ამ გამოფენასთან დაკავშირებით სტუდიამ მუზეუმს 4 კომპიუტერი აჩუქა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა ტელეარხი დაკარგა

**საქართველოს ხელისუფლების მიერ გახსნილმა ახალმა რუსულენოვანმა ტელეარხმა „პირველმა კავკასიურმა“ ორი კვირის შემდეგ შეწყვიტა მუშაობა. ოფიციალური ვერსიით, ახალი პროექტი ამოქმედდა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და რუსეთში შემავალი კავკასიური რეგიონების „სწორი ინფორმირებისთვის“ სააკაშვილის პოლიტიკის შესახებ. არაოფიციალური ინფორმაციით კი – ფართომასშტაბიანი ანტირუსული პროპაგანდისთვის. არხის მომავალი ბედი საფრანგეთის ხელთაა.**

პროექტის დახურვის მიზეზი, რომელიც, მისი შემქმნელების აზრით, უნდა ყოფილიყო მიმართული ეროვნული უმცირესობებისთვის „მთელი სიმართლის“ მისაწოდებლად ხელისუფლების პოლიტიკის შესახებ, გახდა სატესტო რეჟიმის ვადის გასვლა. ამ რეჟიმის ნებართვა გასცა საფრანგეთის კომპანია „ეუტელსატმა“ თავისი თანამგზავრის მეშვეობით.

არხის შემდგომი ბედი დამოკიდებული იქნება მოლაპარაკების შედეგზე, რომელიც მიმდინარეობს არხის ხელმძღვანელობასა და თანამგზავრის მფლობელს შორის. „თუ საფრანგეთთან ვერ შევძელით შეთანხმების მიღწევა, გავალთ სხვა თანამგზავრზე“, – აღნიშნავს „პირველი კავკასიურის“ გენერალური დირექტორი ზურაბ დვალი.

ამ დროს საქართველოს ოპოზიცია და ჟურნალისტები დარწმუნებული არიან, რომ ტელეარხის საინფორმაციო პოლიტიკას უნდა ეტარებინა აშკარა ანტირუსული ხასიათი.

„ეს არხი სჭირდება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რათა ზიანი მიაყენოს რუსეთსა და მის ხალხს, მაგრამ თუ მაუწყებლობა მართლაც გამოიწვევს რუსეთსა და მის ხალხში გაღიზიანებას, ეს ცუდ შედეგს გამოიღებს საქართველოსთვის“, – განაცხადა ოპოზიციური მოძრაობის „სამართლიანი საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პეტრე მამრაძემ.

საქართველოს ხელისუფლებისა და არხის ხელმძღვანელობის „კეთილგანზრახვათა“ დადასტურებად შეიძლება ყოფილიყო ის ფაქტი, რომ საავტორო პროგრამა მასზე შესთავაზეს ჩეჩნეთში სეპარატისტული მოძრაობის ლიდერის ქვრივს ალა დუდაევას.

როგორც მამრაძე მიიჩნევს, სააკაშვილის იდეა ასეთ არხზე „კარიკატურულია“. დეპუტატი შეგვახსენებს, რომ ამჟამად რუსეთში ცხოვრობს და მუშაობს 1 მილიონ 200 ათასი საქართველოს მოქალაქე. ასეთი ანტირუსული პროპაგანდა, უწინარეს ყოვლისა, ნეგატიურად აისახება მათზე. სააკაშვილის ეს გადაწყვეტილება შეიძლება დამღუპველი გახდეს ქართველი ხალხისთვის“, – ასკვნის პარლამენტარი.

თავად „პირველ კავკასიურში“, როგორც მოსალოდნელი იყო, კატეგორიულად უარყოფენ ყველა ეჭვს. „ჩვენ არ გვსურს მივცეთ შეფასება, ჩვენ მხოლოდ ფაქტების მიწოდება გვინდა“, – განაცხადა მისმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

როგორც უნდა იყოს, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა დემონსტრაციულად გამოხატა თავისი სრული კმაყოფილება ქვეყანაში ასეთი რესურსის გამოჩენასთან დაკავშირებით.

„მე მეტად კმაყოფილი ვარ, რომ საქართველოში გაჩნდა ძლიერი რუსულენოვანი არხი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, საქართველოს აუდიტორიისთვის იმიტომ, რომ ჩვენ არ უნდა დავკარგოთ რუსული ენა, ეს მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი კულტურისთვის, ეს მეტად მნიშვნელოვანია ცივილიზაციისთვის. ეს არა მხოლოდ ის არის, რომ გვაერთიანებს რუსეთის ხალხებთან, მაგრამ ვფიქრობ, რომ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ეს იქნება აგრეთვე პარალელური ენა ყოფილი სოციალისტური ბანაკისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ხალხებთან ურთიერთობაში“, – განაცხადა მან.




**იულია ტიმოშენკო**

ВЗГЛЯД

---

**საქართველოს ხელისუფლების მიერ არალეგალური სამეკობრეო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება სერიოზულ საფრთხეს შეადგენს და იგი ჯერ კიდევ ვერ პოულობს გამოსავალს, მიაჩნიათ სპეციალისტებს.**

საქართველოს მოწყვლადობა ამ საქმეში კარგად გამოვლინდა რუსეთთან 2008 წლის შეჯახების დროს, როდესაც საქართველოს მთელმა რიგმა სამთავრობო ქსელებმა განიცადეს კიბერნეტიკული შეტევები, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მას. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ გააჩაღა კამპანია ლეგალური პროგრამების უზრუნველყოფის დასაყენებლად და შეეცადა დარღვევების დაფარვას უშიშროების საქმეში, ეს ინიციატივა ზრდას იწყებს.

ამერიკის მეწარმეთა 2009 წლის მაისის გამოკვლევაში საქართველო დაასახელეს სამეკობრეო პროგრამული უზრუნველყოფის უდიდეს მომხმარებლად ანგარიშში შესულ 115 სახელმწიფოთა შორის. ქვეყნის მაჩვენებელი – 95 პროცენტია სამეკობრეო პროგრამული უზრუნველყოფის საქმეში და მან გაუსწრო მეზობელ სომხეთს (92 პროცენტი) და აზერბაიჯანს (90 პროცენტი), აგრეთვე თავის შავიზღვისპირელ მეზობელს – უკრაინას (84 პროცენტი).

ნაწილობრივ ქვეყანაში ეს აიხსნება მეკობრული პროგრამების ხელმისაწვდომობით. ანგარიშის ავტორებმა უარი თქვეს თავიანთი დასკვნების კომენტირებაზე.

მეკობრული პროგრამული უზრუნველყოფა გავრცელებულია როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო ცხოვრების სფეროში. 30 ათასი პერსონალური კომპიუტერიდან, რომლებსაც იყენებენ მთავრობის სამინისტროებსა და სააგენტოებში, აგრეთვე ხელისუფლების მუნიციპალურ ორგანოებში, 70 პროცენტი სამეკობრეო ან არალიცენზირებული პროგრამაა, – ამბობს ირაკლი გვენეტაძე, რომელიც სათავეში უდგას სპეციალურ კომისიას იუსტიციის სამინისტროსთან. კომისიის ამოცანაა საქართველოს ხელისუფლების პროგრამული უზრუნველყოფის საქმიანობის ლეგალიზაცია.

კონტრაფაქტული სოფტის გამოყენება მთავრობას ხელმისაწვდომად აქცევს კიბერნეტიკული შეტევებისთვის, აგრეთვე ვირუსებისა და მავნე პროგრამებისთვის, რომლებიც არასანქციონირებულად შეიძლება დააყენო კომპიუტერზე გამომყენებლის ნებართვის გარეშე. პროგრამული უზრუნველყოფის უშიშროების სპეციალისტების სიტყვებით, სამეკობრეო პროგრამული უზრუნველყოფის ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებელი რუსეთია.

საქართველოს ხელისუფლება გრძნობს მავნეობას და არამყარობას თავისი მდგომარეობისა, აღნიშნა გვენეტაძემ, მაგრამ შექმნილი მდგომარეობის პროცესის გამოსასწორებლად დრო იქნება საჭირო. ამჟამად ხელისუფლება მოლაპარაკებას აწარმოებს მაიკროსოფტის ორგანიზაციასთან საოპერაციო სისტემების ლეგალური ვერსიის შესყიდვაზე და გააგრძელებენ კონტაქს პროგრამული უზრუნველყოფის სხვა მწარმოებლებთან.

კონტრაფაქტული პროდუქციის გამოყენება მთლიანად „დიდ რისკს წარმოადგენს უშიშროების თვალსაზრისით“, – მიაჩნია სკოტ ბორგს, ამერიკის არაკომერციული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორსა და მთავარ ეკონომისტს, რომელმაც მსგავსი ანგარიში ხაკერული შეტევების შესახებ გამოაქვეყნა რამდენიმე ხნის წინათ.

## საქართველოს მთავრობისთვის სახიფათო ღონისძიება

რუსეთთან 2008 წლის ომის დროს საქართველოში დაშალეს ათობით ქართული საიტი, მას შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის და სხვა სამთავრობო საიტები.

მართალია, ზემოხსენებულ ინსტიტუტს არ შეუსწავლია მეკობრული პროგრამული უზრუნველყოფის როლი ასეთ შეტევებში, მაგრამ სპეციალისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „საქართველოს ბევრი სისტემა ვერ პასუხობს სათანადო დონეზე უშიშროებისგან თავდაცვის პრინციპებს“, აღნიშნა ბორგმა. „ზოგიერთ შემთხვევაში სისტემებში იყენებდნენ დუმილის პაროლს, რაც დაუშვებელია“, – თქვა ბორგმა.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის გვენეტაძის სიტყვებით, მართალია უშიშროების პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ დაიწყო საქართველოს ხელისუფლებამ მათი გამოყენება არალეგალურად. საქართველო შედის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რომელიც თავის წევრებისგან მოითხოვს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვას. „მთავრობას არ სურს გამოიყენოს არალეგალური პროგრამული უზრუნველყოფა“, – ამბობს იგი.

საქართველოში სამეკობრეო პროგრამის ფართო გავრცელებაში გვენეტაძე ნაწილობრივ ბრალს სდებს სოფტის გამყიდველ კომპანიას. „თქვენ ვერ მონახავთ წერტილს, სადაც იყიდებოდეს ლიცენზირებული ვერსიები პროგრამული უზრუნველყოფისა, ამტკიცებს იგი. – ხოლო თუ მონახავთ ასეთ სავაჭრო ობიექტებს, მოგთხოვენ უზარმაზარ საფასურს, რაც არაფრით შეესაბამება რეალურ ფასებს და კიდევ მოგიწევთ ორი-სამი თვის მოცდა, სანამ მას მიიღებდეთ. თანაც არავითარი მხარდაჭერა“.

პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვის ერთ-ერთი კომპანიის მფლობელი მზად არის, შეედავოს ასეთ მტკიცებას. „თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ ყველაფერი, რისი სურვილიც გექნებათ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, – ამბობს გიორგი ჭირაქაძე. მას ეკუთვნის კომპანია „იუნაიტედ გლობალ ტეხნოლოჯისი“, რომელმაც დაამუშავა ვინდოუსის ქართულენოვანი ვერსია. მისი სიტყვებით, კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვის ყოველწლიური მოცულობის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 2 მილიონ დოლარს. მისი კლიენტები არიან უმთავრესად დიდი ბიზნესმენები და მთელი რიგი სამთავრობო სააგენტოები. პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება თბილისში შეადგენს 189 დოლარს. შედარებისთვის: კორპორაციამ მაიკროსოფტის საოპერაციო სისტემების სამეკობრეო ვერსიის შესყიდვა, როგორც წესი რუსულენოვანისა, შეიძლება სულ რაღაც 10 ლარად (5,79 აშშ დოლარი).

საქართველოში მაიკროსოფტის წარმომადგენლის ზურაბ მუჯანიშვილის შეფასებით, მეკობრული პროგრამების გამო მისი კომპანია ყოველწლიურად პოტენციურ გაყიდვებზე კარგავს დაახლოებით 50 მილიონ დოლარს.

მოქმედი კანონმდებლობის სუსტი დაცვა პირველი მნიშვნელობის ამოცანაა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის სფეროში, მიაჩნია ვაშინგტონელ იურისტს ერიკ შვარცს. იგი მუშაობს საავტორო უფლებათა დაცვის საკითხებზე აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებში. ის აქტიურად თანამშრომლობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ალიანსში.

საბაჟო და სამართალდაცვის ორგანოების წარმომადგენლებს საქართველოში არ აქვთ უფლება, გახსნან სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეები კანონის დამრღვევებთან დაკავშირებით, სანამ შესაბამისი განცხადებით არ მიმართავს თავად საავტორო უფლების მფლობელი, აღნიშნავს შვარცი.

საქართველოს მზადყოფნა, მიაღწიოს საერთაშორისო სტანდარტებს, არის პოზიტიური მაგალითი რეგიონში, სადაც საავტორო უფლება უმეტეს შემთხვევაში არ არის დაცული დღემდე, მიიჩნევს იურისტი. მიუხედავად სამეკობრეო პრაქტიკის ფართო გავრცელებისა საქართველოში, თბილისს არ ემუქრება საფრთხე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მისთვის მინიჭებულ სავაჭრო პრივილეგირებულ სტატუსში, ამბობს შვარცი. საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისა და კავკასიაში ევროსაბჭოს პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის დიდი მომხრეა.

საბოლოოდ საქართველოში სამეკობრეო სოფტის აქტიური გამოყენება პირველ რიგში ზიანს აყენებს თავად საქართველოს, აღნიშნავს მაიკროსოფტის კორპორაციის წარმომადგენელი ზურაბ მუჯანიშვილი. „პროგრამული უზრუნველყოფა – ეს ცოცხალი ორგანიზმია“, რომელსაც ნორმალური მუშაობისთვის მუდმივად სჭირდება განახლება და ახალი უშიშროების ელემენტები. ხალხი კითხულობს: რატომ უნდა გადავიხადოთ ფული? – განაგრძობს მუჯანიშვილი. და მე მათ ვპასუხობ: „თქვენ უნდა გადაიხადოთ ფული იმიტომ, რომ, როდესაც თქვენ არ იცავთ სხვა ხალხის საკუთრებას, არავინ დაიცავს თქვენს ინტერესებსაც.

EURASIANET

### დედამიწის ზურგზე



**ჰაიტისთან დომინიკის რესპუბლიკის საზღვარზე გამოცხადებულია ეპიდემიოლოგიური განგაში**

ჯერჯერობით ეს მხოლოდ პრევენციული ზომაა. დომინიკის რესპუბლიკის ხელისუფლება შიშობს ციებ-ცხელების, მალარიის ეპიდემიის, აგრეთვე სხვა ინფექციურ დაავადებათა აფეთქებას. ამ დროს საზღვრისპირა საავადმყოფოები აგრძელებენ ჰაიტიელი მოქალაქეების მიღებას, რომლებმაც მიიღეს მძიმე ტრავმები ან დაიჭრნენ მიწისძვრის დროს 12 იანვარს.

* * *



**კოლუმბიაში თვითმფრინავის ბორტზე ბომბის აფეთქების დაშინების გამო აეროპორტი დაკეტეს**

აეროპორტში დარეკა უცნობმა და განაცხადა, რომ ავიაკომპანია „აეროპუბლიკის“ თვითმფრინავზე, რომელშიც 99 მგზავრი იმყოფებოდა, არის ასაფეთქებელი მოწყობილობა. ყველა მგზავრი სასწრაფოდ იქნა ევაკუირებული, საჰაერო ხომალდი კი დაათვალიერეს პოლიციელებმა სპეციალურად მომზადებული ძალებით.

* * *

**პენტაგონმა წარუმატებლად გამოცადა საშახტო ბაზირების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის კომპონენტი**

სამსაფეხურიანი რაკეტმზიდი, რომელმაც სტარტი აიღო კალიფორნიის შტატის ავიაბაზიდან, ვერ გაანადგურა სასწავლო ქუბინი. ეს გამოცდა იყო პირველი, რომელიც მოეწყო სარაკეტო დატყმის შესაძლო მოგერიების სცენარით.



დარტყმას ელოდებოდნენ ირანიდან. ადრე ამუშავებდნენ საფრთხის თავიდან აცილებას ჩრდილოეთ კორეის მხრიდან.

* * *

**პრეზიდენტ ობამას 2011 წელს სურს დახარჯოს რეკორდული – 3,8 ტრილიონი დოლარი**

თუ ამ თანხას გავანაწილებთ ყველა ამერიკელზე – დაახლოებით 310 მილიონ კაცზე – თითოეულს შეხვდებოდა 12,3 ათასი დოლარი. მარტო სამხედრო საჭიროებისთვის ადმინისტრაცია მოითხოვს 708 მილიარდ დოლარს. პლუს ამას 33 მილიარდი დოლარი ავღანეთში არსენალის შესავსებად. ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ხარჯებია თავდაცვის სფეროში.

* * *

**პერუში დაიღუპა 20 კაცი და თითქმის 38 ათასი დაზარალდა წვიმებით გამოწვეული ზვავებისგან**

წვიმები უკვე რამდენიმე კვირაა გრძელდება პერუს რვა რეგიონში. მათ გამოიწვიეს მდინარეთა ადიდება, წყალდიდობანი და ზვავები. ციკლონის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა კურსკოს რეგიონი, სადაც არის ანდის ქვეყნის მთავარი ღირსშესანიშნაობა – ინკების ძველი ქალაქი მაჩუ-პიკჩუ.



დიდი ტერორი?

# ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული" თუ ქვეყნის გადარჩენა?

სტალინი, პირიქით, უშვებდა აღმოსავლეთ გერმანიაში სოციალ-დემოკრატების საქმიანობის განახლების შესაძლებლობას. უფრო ადრე მოხდა კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების შერწყმა გერმანიის სოციალისტურ პარტიად. მაგრამ 1947 წლის 30 იანვარს ამ პარტიის ლიდერებთან შეხვედრაზე სტალინმა მათ შესთავაზა, მოეფიქრებინათ აღმოსავლეთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღდგენის იდეა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დაუშლელად. ასეთი მოქნილი ღონისძიებებით სტალინს იმედი ჰქონდა, მოეპოვებინა გერმანელების ნდობა. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ლიდერების გასაოცარ შეკითხვაზე, თუ როგორ შეიძლებოდა მათი პარტიის ერთიანობის შენარჩუნება, სტალინმა ურჩია მათ მეტი ყურადღება პროპაგანდისთვის დაეთმოთ.

ზოგჯერ სტალინი იძულებული იყო, შეეჩერებინა მემარცხენე გადახრები, რაც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ლიდერებისთვის იყო დამახასიათებელი. ამ პარტიის ხელმძღვანელობაში ბევრს არ სურდა დასავლეთ გერმანიასთან შეერთება. აბა როგორ, განხეთქილების მდგომარეობა ბატონ-პატრონობას, მმართველობას ჰპირდებოდა?! გაერთიანებულ გერმანიაში კი კომუნისტებს ძნელად რომ ჰქონოდათ მონოპოლია ხელისუფლებაში, 1947 წლის გაზაფხულზე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ლიდერმა ვ.ულბრიხტმა გამოთქვა საწინააღმდეგო აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ მონაწილეობა მიეღო ყველა გერმანული მიწის მინისტრების-პრეზიდენტების საერთო გერმანულ თათბირში. მოუწიათ ჩაეჩუმებინათ ზოგზე მეტად „პრინციპული" ამხანაგი.

სტალინმა შეაჩერა ფინეთის კომუნიზაცია, რისი საფრთხეც სავსებით რეალური იყო. იქაურმა კომუნისტებმა დაიკავეს მთელი რიგი გადამწყვეტი პოსტები, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიც, და წინასწარ და გამუდმებულად უკვე დაიწყეს ანგარიშსწორება თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან. მაგრამ მოსკოვიდან მოვიდა მითითება შეეწყვიტათ „რევოლუციური აქტივობა".

სხვათა შორის, სტალინს უმალვე როდი დაუწყია კომუნისტური მართვის დაყენება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. 1945-1946 წლებში ის მათ მომავალს ხედავდა დემოკრატიის განსაკუთრებული ტიპის შენებაში, რომელიც განსხვავებული იქნებოდა როგორც საბჭოური, ისე დასავლური მოდელებისგან. სტალინს იმედი ჰქონდა, რომ ამ ქვეყნებში სოციალისტური გარდაქმნები მოხდებოდა საშუალო წვრილი მესაკუთრეების ექსპროპრიაციის გარეშე. 1946 წლის მაისში პოლონელ ლიდერებთან შეხვედრაზე ბელადმა თქვა: **„წყობილება, რომელიც პოლონეთში დამყარდა, ეს დემოკრატიაა, ეს არის დემოკრატიის ახალი ტიპი. მას არ გააჩნია პრეცედენტი. არც ბელგიური, არც ინგლისური, არც ფრანგული დემოკრატია არ გამოგადგებათ თქვენ მაგალითად და ნიმუშად... დემოკრატია, რომელიც დამყარდა თქვენთან პოლონეთში, იუგოსლავიაში და ნაწილობრივ ჩეხოსლოვაკიაში, ესაა დემოკრატია, რომელიც გაახლოვებთ თქვენ სოციალიზმთან პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა წყობილების დამყარების აუცილებლობის გარეშე... თქვენ არ გჭირდებათ პროლეტარიატის დიქტატურა, რადგან დღევანდელ პირობებში, როდესაც ნაციონალიზებულია მსხვილი მრეწველობა და პოლიტიკური არენიდან გაქრნენ მსხვილი კაპიტალისტებისა და მემამულეების კლასები, საკმარისია შეიქმნას შესაბამისი რეჟიმი მრეწველობაში, აამოძრაოთ იგი, შეამციროთ ფასები და მოსახლეობას მისცეთ მეტი ფართო მოხმარების საქონელი..."** სტალინს ჰქონდა იმის იმედი, რომ დემოკრატია შეიძლება გახდეს სახალხო, ეროვნული და სოციალისტური მაშინ, როდესაც თავიდან იქნება მოცილებული მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც **„თავისუფალ არჩევნებს"** აქცევს ფარსად და რომელიც მიმართავს პოლიტიკოსებისა და ამომრჩევლების მოსყიდვას.

ბელადის ჩანაფიქრით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის საერთოდ არ იყო აუცილებელი წასულიყვნენ სოციალიზმისკენ კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით, კომუნისტებს სტალინი განიხილავდა როგორც დიდმნიშვნელოვან, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის სისტემის სულაც არა მთავარ ელემენტს. სტალინმა გადაწყვიტა ფსონი ჩასულიყო ცენტრისტ პოლიტიკოსებზე, რომლებიც თავისუფალი იქნებოდნენ მარქსიზმზე ორიენტაციისგან. მაგალითად, სტალინი ახალი ჩეხოსლოვაკიის საკვანძო ფიგურად მიიჩნევდა პატრიოტ ცენტრისტ ე.ბენეშს, რომელიც იბრძოდა სოციალიზმის არამარქსისტული ვარიანტისთვის („ეროვნული სოციალიზმი"ძ. ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდა მას ისეთ არამარქსისტულ და არამემარცხენე პოლიტიკოსებთან, როგორებიც იყვნენ ო.ლანგე (პოლონეთიძ, გ.ტატარესკუ (რუმინეთიძ, ზ.ტილზა (უნგრეთიძ, ი.პაასიკივი (ფინეთიძ.

მაგრამ კონფრონტაციის გაძლიერებამ დასავლეთთან (ამ უკანასკნელის გამოძ, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ბევრი არასოციალისტური პოლიტიკოსის მიერ აშკარა პროდასავლური ორიენტაციის არჩევამ უბიძგეს სტალინს იქ კომუნისტური პარტიების დამყარებისკენ. ამას გარდა, აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ლიდერი პირდაპირ უბიძგებდა საბჭოთა ხელმძღვანელობას გაეძლიერებინა დაუნდობელი პოლიტიკური ზემოქმედება კომუნიზმის პოლიტიკურ ოპონენტებზე, აგრეთვე იმ სოციალურ ფენებზე, რომლებიც, არც თუ დიდი ხალისით, „ეგუებოდნენ" ახალ წყობილებას. მაგალითად, უნგრელ კომუნისტთა ლიდერი მ.რაკოში 1947 წლის აპრილში მოლოტოვს უამბობდა „კონტრრევოლუციონერთა მორიგი შეთქმულების" შესახებ და ამასთან ერთად ჩიოდა: **„ცუდია, რომ შეთქმულებს არ აღმოაჩნდათ იარაღის საწყობები, მაშინ მათ უფრო მეტად გამოვააშკარავებდით... ჩვენ გვინდა გავანადგუროთ რეაქცია და კვლავ დავაყენოთ საკითხი შეთქმულების შესახებ. ამჟამად ჩვენთვის ცნობილია 1500 ფაშისტი... ესენი არიან რასისტები, პროფესორები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი თავიდან უნდა მოვიშოროთ"**. დამახასიათებელია, რომ მოლოტოვი შეეცადა გონზე მოეყვანა რაკოში, გამოთქვა ერთგვარი სკეპსისი მის მემარცხენეობასთან დაკავშირებით: **„ესე იგი უნგრეთის ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი შემჩნეულია შეთქმულებაში? თუ მთელი უნგრელი ინტელიგენციის წინააღმდეგ წახვალთ, გაგიჭირდებათ"**.

სავსებით შესაძლებელია, რომ სტალინი ცოტა აჩქარდა აღმოსავლეთ ევროპის კომუნიზაციასთან დაკავშირებით, მაგრამ მისი ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო გეოპოლიტიკური დაპირისპირების გამძაფრებით.

საერთოდ სტალინი დიდი ხნის განმავლობაში არ ანგრევდა ხიდებს ფულტონში ჩერჩილის პროვოკატორული სიტყვის შემდეგაც კი. გარკვეულ პერიოდში ამის შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობა კრიტიკის ისრებს მიმართავდა „ინგლის-ამერიკის რეაქციისკენ", უპირისპირებდა მას რომელიმე პროგრესულ ტენდენციას, რომელიც თითქოსდა არსებობდა დასავლურ ისტებლიშმენტში. სტალინი პირადად შლიდა სიტყვების პროექტში „ინგლის-ამერიკული ბლოკის" ნებისმიერ ხსენებას.

ამ დროს, რასაკვირველია, არ შეიძლება მისი დაყენება გარდაქმნისა და ელცინიზმის დროის ხელმძღვანელებთან ერთ რიგში. მათ სურდათ, რომ რუსეთი მსოფლიო სისტემაში ჩაწერილიყო უმცროსი პარტნიორის უფლებით. სტალინი კი პარიტეტის ხაზის მომხრე იყო. ის არ ასუსტებდა არმიას, არ იძლეოდა ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოსვლის ნებას, არ შლიდა „მეხუთე კოლონიებს" კომუნისტური პარტიების სახით.

ამ თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია სტალინის პოლიტიკა აღმოსავლეთის მიმართულებით. ის ჩინეთში კომუნისტური რევოლუციის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

აი ერთ-ერთი მაგალითი. 1936 წლის დეკემბერში ჩინეთის ნაციონალისტების ლიდერის ჩან კაიშის წინააღმდეგ გამოვიდა მისი ერთ-ერთი სამხედრო მეთაური – ჩან სიუზლიანი. არსებითად ეს იყო ამბოხი, რომელიც წარმატებით დასრულდა. ჩანი ტყვედ აიყვანეს და მას მოსთხოვეს პოლიტიკის შეცვლა (შემდეგ მაღალი თანამდებობის ტყვე მალე გაათავისუფლესძ. ჩინელი კომუნისტების ბანაკში დაიწყო ზეიმი, თანაც წითლები ჩან კაიშის სიკვდილით დასჯას ითხოვდნენ, მაგრამ კრემლში სხვაგვარად განსაჯეს. სტალინურმა ხელმძღვანელობამ ამბოხება შეაფასა, როგორც „იაპონელი მილიტარისტების მორიგი შეთქმულება, რომლებიც მიზნად ისახავენ ხელი შეუშალონ ჩინეთის გაერთიანებას და ჩაშალონ აგრესორისთვის წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზაცია". ყველა გაოცებული იყო, ისე გამოდიოდა, თითქოს სსრ კავშირი დგებოდა ნაციონალისტების – ჩინელი კომუნისტების უბოროტესი მტრების – მხარეზე. **„კარგა ხნის შემდეგ გამოაშკარავდა მოსკოვის ასეთი ნაბიჯის ჭეშმარიტი მიზეზები, – იტყობინება მაო ძედუნის ბიოგრაფი ფ.შორტი. – ნოემბერში და მაოს მაშინ არაფრით შეეძლო ეს სცოდნოდა – სტალინმა გადაწყვიტა გადაედგა მორიგი ნაბიჯი გომინდანის მთავრობის თავის მოკავშირედ გადაქცევისთვის... მოსკოვში უკვე მიმდინარეობდა საიდუმლო კონსულტაციები საბჭოთა კავშირ-ჩინეთის უშიშროების შეთანხმების შესახებ. ჩან კაიშის დაპატიმრებამ გეგმები აურია სტალინს. სტალინისთვის ჩინეთის კომუნისტური პარტიის ეჭვი არაფერს ნიშნავდა: მსოფლიოში უძლეველი სოციალიზმის პირველი სახელმწიფოს ინტერესები ყველაზე წინ იდგა"** („მაო ძედუნი"ძ.

ომის შემდეგ სტალინი მაოს ურჩევდა, წასულიყო ჩან კაიშის ნაციონალისტებთან სამშვიდობო შეთანხმებაზე. ის იმასაც დაჟინებით ითხოვდა, რომ ჩინელი კომუნისტების ლიდერი ჩასულიყო ქალაქ ჩუნცინში გენერალ ჩანთან შესახვედრად (ვისთანაც სსრ კავშირმა დემონსტრაციულად მოაწერა ხელი ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ 1945 წლის 15 აგვისტოსძ. და თავად მაოსთან შეხვედრა კი სტალინს ძალიან არ უნდოდა. მან ის მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის მივიდა ხელისუფლებაში და გახდა სახელმწიფო მეთაური.

მაგრამ ჩინელ კომუნისტთა სამხედრო-პოლიტიკური გამარჯვებები სტალინს არ სურდა არავითარ შემთხვევაში. 1945 წლის ნოემბერში, როდესაც განახლდა შეჯახებანი ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და გომინდანს შორის, საბჭოთა სარდლობამ კომუნისტური არმიისგან მოითხოვა დაეტოვებინა მათ მიერ კონტროლირებადი დიდი ქალაქები. 1949 წლის გაზაფხულზეც კი, როდესაც მაო წარმატებით ანადგურებდა გომანდანს, სტალინი დაბეჯითებით ურჩევდა მაოს, შემოიფარგლოს კონტროლით ჩინეთის ჩრდილოეთ პროვინციებზე.

ამერიკელებმა კი, პირიქით, ძალიან ბევრი რამ გააკეთეს ჩინეთის კომპარტიის გამარჯვებისთვის. ჯერ კიდევ 1944 წელს მაო აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან (გენერალი პ.ჯ.ჰერლიძ, გამოთქვამდა მზადყოფნას თანამშრომლობისთვის. ჩინელ კომუნისტთა ლიდერი გარკვეულ პერიოდში იმაზეც კი დაფიქრდა, რომ შეეცვალა თავისი პარტიის სახელწოდება – „კომუნისტურიდან" „დემოკრატიულზე" (შტატებში მაშინ მმართველი სწორედ დემოკრატიული პარტია იყოძ. 1945 წლის იანვარში კი დაიწყო ჩინეთის კომუნისტური პარტიის საიდუმლო მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც განიხილებოდა რუზველტთან პირადი შეხვედრის შესაძლებლობაც.

შემდგომ „შტატნიკები" საკმაოდ საფუძვლიანადაც კი დაეხმარნენ მაოისტებს. 1945 წლის დეკემბერში ჯ.მარშალმა, რომელმაც შეცვალა ჰერლი ჩინეთში ამერიკის მისიის ხელმძღვანელის პოსტზე, აიძულა ჩან კაიში წასულიყო მოლაპარაკებაზე კომუნისტებთან. ნაციონალისტების არმია ხომ ანადგურებდა მაოს კომუნისტურ ჯარებს. ამით ამერიკელებმა გადაარჩინეს ჩინეთის კომუნისტური პარტია სრული განადგურებისგან.

მერე კიდევ მეტი რამ იყო. **„ნახევრად-სახელმწიფო ორგანიზაცია – წყნარი ოკეანის ურთიერთობათა ინსტიტუტი – პრაქტიკულად განსაზღვრავდა პოლიტიკას ჩინეთში თხუთმეტი წლის განმავლობაში. ამ გავლენამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩან კაიშის დამარცხებას. მაგალითად, სამთავრობო წრეებში გადაიცემოდა ინფორმაცია, რომელიც ჩინელ კომუნისტებს წარმოაჩენდა როგორც დემოკრატებსა და მიწის რეფორმის მომხრეებს. შედეგად ჩან კაიშის შესთავაზეს მთავრობის შემადგენლობაში შეეყვანა კომუნისტები. როდესაც მან ამაზე უარი თქვა, მთლიანად შეწყდა მიწოდებანი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ინსტიტუტის მიერ შემუშავებულმა საფინანსო პოლიტიკამ ჩინეთში კოლოსალური ინფლაცია და ჩან კაიშის რეჟიმით მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია. ამ პოლიტიკას იწონებდა ფინანსთა სამინისტრო უაიტის ხელმძღვანელობით და ჩინეთში ამ სამინისტროს წარმომადგენელი სოლომონ ადლერი..."** (ი.შაფარევიჩი. „იყო თუ არა გარდაქმნა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს აქცია?"ძ.

რისთვის სჭირდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს კომუნისტებისთვის მხარდაჭერა? ყველაფერი მარტივია – მათ სჭირდებოდათ სოციალისტურ ბანაკში შეექმნათ ძალის ერთგვარი მეორე პოლუსი, რომელიც მუდმივად დაასუსტებდა სსრ კავშირს. არსებითად, 60-იან წლებში „წითელი ჩინეთი" სწორედაც რომ ასეთ პოლუსად გადაიქცა. საქმე ლამის ომამდეც კი მივიდა ორ სოციალისტურ სახელმწიფოს შორის. 70-იან წლებში კი მაო ამერიკის შეერთებულ შტატებთან ღია დაახლოებაზე წავიდა. ყოველივე ამას სტალინი წინასწარ ჭვრეტდა. აი რატომ იყო, რომ რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, საბოტაჟს უწევდა ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებას (თუმცა მაშინ იძულებული იყო გარკვეული დახმარება გაეწია მაოისტებისთვის – წინააღმდეგ შემთხვევაში საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები მას ვერ გაუგებდნენძ.




(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 14-19.

ძიუდო

# თბილისი მოილიეს, წინ ევროპაა



**გასულ უქმეებზე, თბილისის სპორტის სასახლემ ძიუდოისტთა მსოფლიოს თასის გათამაშებას უმასპინძლა. შეჯიბრებაში 14 ქვეყნის წარმომადგენლები ჩაებნენ, უმთავრესად — ახალგაზრდები. წლევანდელი სეზონი სალიცენზიო არ არის, ამიტომ მწვრთნელებს ნაკრების კანდიდატთა გამოცდა უფრო ეწადათ.** საქართველოს თითოეულ წონაში ოთხოთხი წარმომადგენელი ჰყავდა. მათგან განსაკუთრებით სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა მინდია ბოდაველმა (90კ იყოჩაღა. ფინალში მან რუსეთელ კამილ მაგომედოვს ისეთი ეფექტური იპონით მოუგო, რომ ფეხზე წამომდგარი დარბაზი ქართველ ფალავანს დიდხანს უკრავდა ტაშს. გადამწყვეტ ორთაბრძოლამდე ბოდაველმა მოლდოველ კორნელიუ დუდნიცს, უკრაინელ ვლადისლავ პოტაპოვსა და იაპონელ იუკი ჰარუიამას დააყრევინა ფარხმალი.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ასევე, ავიდნენ დავით ასუმბანი (60კ, შალვა ქარდავა (66კ და ლევან წიკლაური (81კ, რომლებმაც, შესაბამისად, ბეთქილ შუკვანი, სამირ დადშზადე (აზერბაიჯანიძ და ხვიჩა ხუციშვილი დაამარცხეს. ჩვენებურთაგან ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ შუკვანი, ხუციშვილი, რევაზ ჩიკოიძე (100კ და ადამ ოქრუაშვილი (+100კ. მესამე ადგილებზე გავიდნენ ამირან პაპინაშვილი (60კ, ზაზა კედელაშვილი (73კ, იოსებ წელაური, დავით კარბელაშვილი (ორივე — 81კ, დავით ლორიაშვილი, ნოდარ მეტრეველი (ორივე — 100კ და ზვიად ხანჯალიაშვილი (+100კ.

ქართველი ძიუდოისტები მომავალ შაბათ-კვირას პარიზის „დიდი სლემის“ ტურნირზე იჭიდავებენ, სადაც უფრო ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზებს ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე, რომელიც ტატამს დაუბრუნდა. ევროპის ჩემპიონატამდე ქართველი ძიუდოისტები კიდევ ოთხ ტურნირში გამოცდიან ძალებს და ეროვნული გუნდიც ამის შემდეგ დაკომპლექტდება.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამირან ტოტიკაშვილი ტურნირის შედეგებით უკმაყოფილო არ არის, თუმცა საევროპეო შეჯიბრებისგან მეტ მობილიზებას და შემართებას ელის.

ჩოგბურთი

# როჯერის მე-16 გაელვება



**როჯერ ფედერერმა მეთექვსმეტედ მოიგო „დიდი სლემის“ ტურნირი, აქედან მეოთხედ — ავსტრალიის ღია პირველობა და ვაჟთა რეკორდსმენობას ინარჩუნებს. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარულ პიტ სამპრასს (14 ტიტულიძ მან შარშან გაუსწრო.**

თუმცა, შვეიცარიელი ჯერაც ჩამორჩება აბსოლუტური მიღწევის ავტორს — ავსტრალიელ მანდილოსანს ივონ გულაგონგს, რომელსაც 22 გამარჯვება აქვს მოპოვებული ელიტურ საზოგადოებაში.

ბაზელის მკვიდრმა ღირსეულად დააგვირგვინა წლევანდელი ლაშქრობა „მწვანე კონტინენტზე“, როცა ფინალში სამ სეტში დაჯაბნა ამბიციური შოტლანდიელი ყმაწვილი ენდი მარეი — 6:3, 6:4, 7:6.

აღსანიშნავია, რომ მან მთელი ტურნირის განმავლობაში მხოლოდ ორი პარტია წააგო, თანაც ორივე რუსებთან — იგორ ანდრეევთან და ნიკოლაი დავიდენკოსთან. სხვათა შორის, მარეისთან გადამწყვეტი შეხვედრის მესამე სეტს მსოფლიოს პირველი ჩოგანი პირწმინდად აგებდა — 2:5, მაგრამ ვითარება გამოასწორა და ტაი-ბრეიქზე იმარჯვა კიდეც.

ქალთა თანრიგში მეხუთედ იმძლავრა ამერიკელმა სერენა უილიამსმა, რომელმაც მძაფრ ფინალურ ბრძოლაში გატეხა კორტზე ახლახან დაბრუნებული ბელგიელის ჟუსტინ ენენის შეუპოვარი წინააღმდეგობა — 6:4, 3:6, 6:2.

მანვე დასთან — ვენუსთან ერთად ყველას აჯობა წყვილებშიც. აღსანიშნავია, რომ ვაჟთა წყვილების ასპარეზობაც ამერიკელ დედმამიშვილთა ტრიუმფით დასრულდა — ბადალი არ ჰყავდა ტყუპ ძმებს ბობ და მაიკლ ბრაიანებს.

მძლეოსნობა

# დედაქალაქმა გზა გაუკვალა ეროვნულს



**დიდუბის მანეჟში ორ დღეს გრძელდებოდა მძლეოსანთა თბილისის ღია ჩემპიონატი, რომელშიც დედაქალაქელებთან ერთად სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებმაც იასპარეზეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო 2010 წლის პირველი სტარტი, სპორტსმენებს ურიგო შედეგები არ უჩვენებიათ. ზოგიერთმა მძლეოსანმა ორ-ორ სახეობაშიც კი გაიმარჯვა, მათ შორის გახლდათ ორი ოლიმპიადის მონაწილე დავით ილარიანი, რომელიც ახალი სეზონისთვის ბაქოში ემზადებოდა. 7 თებერლიდან იგი ისევ აზერბაიჯანის დედაქალაქს მიაშურებს და იქ თვის ბოლომდე დარჩება.**

უფრო წარმომადგენლობითი იქნება საქართველოს ზამთრის ღია ჩემპიონატი, რომელიც დიდუბის მანეჟში 5-6 მარტს გაიმართება.

ახლა კი თბილისის ჩემპიონთა ვინაობას გაგაცნობთ:

**60 მ.** სალომე სირაძე (ქუთაისიძ და გიორგი ანთელაძე (თბილისიძ, **60 მ. თარჯრბენი.** ნანა კაშია (ქუთაისიძ და დავით ილარიანი (თბილისიძ, **200 მ.** სალომე აბშილავა (ზუგდიდიძ და გიორგი ანთელიძე, **400 მ.** გაიანე უსტიანი და ენდრიკ ზილბერშტეინი (ორივე — ახალციხეძ, **800 მ.** გაიანე უსტიანი და თემურ გუგუშვილი (თბილისიძ, **1500 მ.** თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომიძ და ანდრანიკ მატინიანი (ახალციხეძ, **3000 მ.** გიული დეკანაძე (ვანიძ და ჯეირან ხოფერია (ფოთიძ. **სიგრძეზე ხტომა.** „ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისიძ და დავით ილარიანი. **სამხტომი.** ქრისტინე შალამბერიძე და ლაშა ღუღულაური (ახმეტაძ, **სიმაღლეზე ხტომა.** ზურაბ გოგოჭური (თბილისიძ. **ბირთვი** — სალომე რიგიშვილი (თიანეთიძ და ზურაბ გიგაია (ზუგდიდიძ.

ფეხბურთი

# უცხოური მოზაიკა

**ეგვიპტის ნაკრები პირველია, რომელმაც ზედიზედ მესამედ მოიპოვა აფრიკის ეროვნებათა თასი. მოჰამედ შეჰატას გუნდი, მოგეხსენებათ, „შავი კონტინენტის“ რეკორდსმენია ტიტულების მხრივაც — იგი მეშვიდედ გახდა საშინაო ფორუმების გამარჯვებული.**

ანგოლაში დასრულებული ბატალიების გმირად იბრაჰიმ გედო მოგვევლინა, რომელიც მინდორზე შეცვლაზე გადიოდა და 5 გატანილი გოლით საუკეთესო ბომბარდირობას გამოჰკრა ხელი. განსაკუთრებით ფასეულია მის მიერ ფინალში განელთა კარში 85-ე წუთზე გატანილი მართლაც რომ ოქროს ბურთი — 1:0.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტელები წლევანდელი „მუნდიალის“ ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩნენ. ეტყობა, ამან მათ ფსიქოლოგიაზე სასიკეთოდ იმოქმედა — საკუთარ ქომაგთა თვალში რეაბილიტაციას ცდილობდნენ და საწადელსაც მიაღწიეს.

ბრინჯაოს მედლები ნიგერიელებმა ირგუნეს, რომლებმაც ალჟირს სძლიეს 1:0.



* * *

**იტალია.** „მილანი“ — „ლივორნო“ 1:1, „რომა“ — „სიენა“ 2:1, „იუვენტუსი“ — „ლაციო“ 1:1. გადაიდო „პარმასა“ და „ინტერის“ მატჩი.

**ესპანეთი.** „ხიხონი“ — „ბარსელონა“ 0:1, „დეპორტივო“ — „რეალი“ 1:3, „სევილია“ — „ვალენსია“ 2:1.

**ინგლისი.** „არსენალი“ — „მანჩესტერი“ 1:3, „ბარნსლი“ — „ჩელსი“ 1:2, სიტი“ — „პორტსმუთი“ 2:0.

**გერმანია.** „ლევერკუზენი“ — „ფრაიბურგი“ 3:1, „ბაიერნი“ — „მაინცი“ 3:0, „შალკე“ — „ჰოფენჰაიმი“ 2:0.

* * *

**უნგრეთი. ევროპის ჩემპიონატი ფუტსალში. ფინალი.** ესპანეთი — პორტუგალია 4:2, მატჩი III ადგილისთვის. ჩეხეთი — აზერბაიჯანი 5:3.

ხელბურთი

# საფრანგეთი — სრული სვლით!



**ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის საფრანგეთის ნაკრების კოლექცია ავსტრიაში დასრულებული ევროპის პირველობის შემდეგ კიდევ ერთი ტიტულით გამდიდრდა. ფინალში ფილიპ ორესტას გუნდმა თაობათა ცვლის პროცესში მყოფ ხორვატებს სძლია — 25:21.**

გადამწყვეტი ბრძოლა მეტოქეთა მეკარეების ტიერი ომეირისა და მირკო ალილოვიჩის ბენეფისად იქცა, რომლებმაც 4-4 შვიდმეტრიანი საჯარიმო ტყორცნა მოიგერიეს და დანარჩენ ეპიზოდებშიც არაერთხელ იხსნეს პარტნიორები.

შეხვედრის გმირი „სამფეროვანთა“ ბომბარდირი ნიკოლა კარაბატიჩი გახდა, რომელმაც ათიდან ცხრა შეტევა დააგვირგვინა გოლით, მათ შორის ორი შესვენების წინ, როცა 9:12-ის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა — 12-12, მეორე ტაიმში კი ფერნანდესთან და აბალოსთან ერთად შეუჩერებელი გახდა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბალკანელებმა წინა დღეს დიდი ენერგია შეალიეს პოლონელთა ძლევას და მათმა ლიდერებმა — ბალიჩმა, ვორიმ, ზრნიჩმა და დუბრავნიკმა, ეტყობა, ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს.

კონტინენტური ფორუმის მესამე პრიზიორი ისლანდია გახდა, რომელმაც პირველივე ტაიმში შეიქმნა სოლიდური მარაგი დაქანცულ პოლონელებთან — 29:26 (18:10ძ.

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების კიდევ ერთი ლიცენზია დანიელებმა მოიპოვეს, რომლებმაც მეხუთე ადგილისთვის გამართული მატჩი ესპანელებს მოუგეს — 34:27.

სხვათა შორის, წლევანდელი ტურნირი უნიკალური ფაქტითაც არის აღსანიშნავი — დასკვნით დუელს პირველად მსაჯობდნენ გერმანელი ტყუპები იურგენ და ჰელმუტ მეტეები.

ბედი

# პატარა ბიჭი გემიდან

1921 წლის სუსხიანი თებერვალი. ბათუმის ნავსადგურიდან საცაა გავა გემი, რომელიც ევროპისკენ წაიყვანს ბოლშევიკებთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრებს და მათ ოჯახებს. პატარა სანავსადგურო ქალაქი და მთელი საქართველო ძრწოლას მოუცავს — ქვეყანაში შავი ჭირივით დაუნდობელი წითელი ტერორი მძვინვარებს.

წამსვლელ-დამრჩენები ერთმანეთს უკვე დაემშვიდობნენ. ახლა კაპიტანი ნიშანს მისცემს, ტრაპი აიწევა და პატარა გემი ბურუსით მოცული მომავლისკენ გაემგზავრება. სამუდამოდ გაემგზავრება.

გული ყველას სამშობლოში რჩება, მაგრამ მაინც ყველა ჩქარობს. გემი კი გასვლას აყოვნებს, ეტყობა, რალაც უცნაური და ძალიან მნიშვნელოვანი ხდება — გემიდან ცოლთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ჩამოდის განათლების და თავდაცვის მინისტრი, პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ ლორთქიფანიძე. იგი გენერალ მაზნიაშვილთან ერთად თურქი ოკუპანტების, წითელი არმიის და საკუთარი ბედისწერის წინააღმდეგ ბრძოლას აპირებს.

გრიგოლმა იცის, რომ თავისი ქვეყნის, ხალხის, ისტორიის წინაშე პირნათლად მოიხდის ვალს და უთუოდ გაიმარჯვებს. იქნებ, ბრძოლაში დაეცეს კიდეც, მაგრამ მაინც გაიმარჯვებს, რადგან სამშობლო სამყაროსავით უკვდავია, ხოლო მისი ბრძოლა — სამართლიანი. ეს იციან მისმა თანამებრძოლებმა, იცის მეუღლემ, ლუბა ავრამენკომ, ასე ერთგულად რომ უდგას მხარში და ამას ოდესმე უთუოდ გაიგებს მისი ცამეტი თვის ვაჟიშვილი, თეიმურაზი, ამ სუსხიან დღეს მამის მკლავებში ტკბილად რომ სძინავს.



ჩვენი დღევანდელობა ცოტა უფრო დალაგებული რომ ყოფილიყო, ამ კაცის იუბილეს ალბათ, ალბათ კი არა, უეჭველად, მთელი საქართველო იზეიმებდა—მან, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, მანქანათმშენებლობის დარგში მრავალი სამეცნიერო შრომის და გახმაურებული გამოგონების ავტორმა, ქვეყნის და სამამულო მეცნიერების წინაშე თავისი ღვაწლით ასეთი პატივი ალალად დაიმსახურა.

2010 წლის 30 იანვარს, 90 წელი შეუსრულდა თეიმურაზ ლორთქიფანიძეს, სწორედ იმ ბიჭუნას, შორეული 1921 წლის თებერვალში სახელოვანმა მამამ საფრანგეთისკენ მიმავალი გემიდან უკანასკნელ წამს რომ ჩამოიყვანა.

ბატონმა თეიმურაზმა ცხოვრების მძიმე გზა განვლო—კომუნისტური რეჟიმის სისასტიკე, ეკონომიური სიდუხჭირე, ბავშვობიდანვე დიდი ოჯახის უფროსის უმძიმესი ტვირთი და მამის ჩუმი მოლოდინი. იმ სახელოვანი მამისა, ვინც თანამებრძოლებთან ერთად აჭარიდან გააძევა თურქული გარნიზონი, არ შეეპუა ბოლშევიკური რეჟიმის სისასტიკეს, საპატიმროებში შექმნილ თავის ბრწყინვალე ფილოსოფიურ-ესსეისტურ ნაშრომებში ფარდა ახადა კომუნისტურ ვულგარულ სოციალიზმს და, საბოლოოდ, 1937 წლის 1 სექტემბერს, სადღაც ვორონეჟის ციხის ჯურღმულებში საქართველოზე ფიქრებით სული წამებით დალია.

ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თეიმურაზ ლორთქიფანიძე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. თუმცა, მალე იძულებული იყო სწავლა შეეწყვიტა — ოჯახი თავისას ითხოვდა. სწავლის გაგრძელება მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ მოახერხა, ამჯერად — მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე.

ოჯახს, ქართული ტრადიციების გადასახედიდან, ცოტა მოგვიანებით, 38 წლისა მოეკიდა. მეუღლესთან ერთად ორი ქალიშვილი გაზარდა—ნინო და ნათია.

საუბარი ბატონი თეიმურაზის ღვაწლზე ქართული მანქანათმშენებლობის, საერთოდ, ქართული ინჟინრული აზრის განვითარებაში, შორს გაგვიტყუებს — როგორც შემოქმედმა, მან ამ საქმეს თითქმის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია. ბევრ სიხარულთან ერთად, უფრო მეტი უმადურობა და იმედგაცრუება იწვნია. სწორედ იმათგან, ვისთვისაც ილვწოდა და ღამეებს თეთრად ათენებდა. დიდი მამის ღირსეულ შვილს მაინც იმედი არ დაუკარგავს და თანამემამულეთა დაუნახაობის გამო ხელი არ ჩაუქნევია. ახლაც დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების (და ნაწილობრივ, საზოგადოებისაც!ძ მეცნიერების, განსაკუთრებით, მისი ტექნიკური დარგებისადმი ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება დროებითი მოვლენაა და მალე ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

ბატონი თეიმურაზი არის გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების შექმნის მთავარი ინიციატორი და დამფუძნებელი. მისი ინიციატივით გამოიცა გრიგოლ ლორთქიფანიძის გენიალური „ფიქრები საქართველოზე“ და სახელმწიფოს გადაეცა მისივე მდიდარი საარქივო მასალები.

მრავლის მნახველი და მრავალ ჭირვარამის გადამტანი ბატონი თეიმურაზი დღესაც მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ქვეყანას, საზოგადოებას გადაარჩენს ზნეობა, ის ნიჭი, რაც ღმერთმა კაცის არსებაში ჩადო და ამით იგი ადამიანად აქცია.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ვაჟიშვილი ალბათ არც შეიძლება სხვანაირად ფიქრობდეს და მოქმედებდეს...

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო თეიმურაზ, ჯანის სიმრთელეს და სულის სიმხნევეს გისურვებთ.

**თემურ ქორიძე**

## ახალი ფეოდალური ოლქი რუსეთში

დიდი თავსატკივარი გაუჩინა რუსეთის ხელისუფალთ ჩრდილო კავკასიაში, განსაკუთრებით კი ჩეჩნეთში, ინგუშეთში, დაღესტანში მიმდინარე მოვლენებმა. ბოლოს კი ერთი, ვითომდა ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღეს

### განა ეს დააშოშმინებს ჩრდილო კავკასიას?




— სამხრეთის ფედერალური ოლქიდან გამოყვეს ჩრდილო კავკასიის ფედერალური ოლქი, მასში შეიყვანეს დაღესტანი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი, ჩრდილო ოსეთი, ყარაჩაი, ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და სტავროპოლის მხარე. რატომღაც ცალკე დატოვეს ადიღეი. ახალ ადმინისტრაციულ ერთეულს სათავეში ჩაუყენეს კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორი ალექსანდრე ხლოპონინი, ყოფილი ბიზნესმენი და ფინანსისტი. ის ამავე დროს დანიშნეს ქვეყნის ახალ ვიცე-პრემიერად, ანუ პუტინის ერთ-ერთ მოადგილედ.

ახალი ოლქის დედაქალაქად პიატიგორსკი აირჩიეს, ყოველმა ამან მრავალი კითხვა გაუჩინა საქმეში ჩახედულ თუ ჩაუხედავ ხალხს. პირველი და უმთავრესი კი ალბათ ერთია: განა ეს დააშოშმინებს თითქმის ამბოხებულ ინგუშეთს, ჩეჩნეთს, დაღესტანს? გაოცება გამოიწვია ოლქის სამთავრო შტაბად სტავროპოლის მხარის ქალაქ პიატიგორსკის არჩევამაც. ალბათ ამ „ზურგის“ ქალაქის გადედაქალაქება გადაწყვიტა იმ გარემოებამ, რომ სტავროპოლის მხარეში ძირითადად რუსული მოსახლეობაა. ალბათ ეს უზრუნველყოფს როგორც პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ისე მისი აპარატის ხელშეუხებლობას, შედარებით ნორმალურ მუშაობას, ჩრდილო კავკასიაში გააქტიურებული ტერორისტული მოძრაობისგან დაცვას.

ერთ-ერთი უმთავრესი კითხვაა ისიც, თუ ვინ იქნება ოლქში შემავალ „ქვედანაყოფებში“ მთავარი მოქმედი პირი — პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თუ ანტიტერორისტული ბრძოლისათვის იქ მობილიზებული სამხედრო, მილიციისა და სპეცსამსახურების მეთაურები? თანაც ახალ ოლქში შემავალ ჩეჩნეთს, ინგუშეთს, დაღესტანს და ა. შ. ხომ თავიანთი პრეზიდენტებიც ჰყავთ? როგორც ჩანს, ახალ ოლქში მმართველობა ორი გზით წარიმართება — სამოქალაქოთი და ძალოვნურით. რასაკვირველია, ხლოპონინს ძალოვანები შეიყვანენ საქმის კურსში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სამოქალაქო ხელმძღვანელობას გააცნობენ არმიისა და ძალოვანთა მუშაობის ყველა წვრილმანს — აგენტურის მონაცემებს, გადამწყვეტი ოპერაციების „განრიგს“, ტერორისტთა ლიდერების ფიზიკური განადგურების გეგმებსა და ა. შ. ალბათ ყოველივე ამის შედეგებს, „სრულუფლებიანი წარმომადგენელიც“ ახალი ამბების დილის გამოშვებებიდან შეიტყობს.

საკითხავია, ხლოპონინზე იქნება თუ არა დამოკიდებული დაქვემდებარებულ რეგიონებში კადრების შერჩევა-დანიშვნა, საბიუჯეტო თანხების განაწილება და მისთანანი?

ექსპერტების აზრით, ახალ ოლქში მუშაობის შედეგები ერთი წლის-წლინახევრის შემდეგ გამოჩნდება, თუმცა როგორც დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, სასურველია, რომ პირველი შედეგები ჩვენ წელსვე დავინახოთო.

Аргументы и Факты

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი, ს.ს. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის ელექტროფიზიოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მედეა დევდარიანს და ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, მედიცინის დოქტორს სალომე მიქაძეს გარდაეცვალათ მეუღლე და მამა, ცნობილი ქართველი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ილია მიქაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „ახალი ქსელები“-სა და „ახტელი“-ს დირექტორატი და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გენერალური დირექტორის თანაშემწეს, ქალბატონ სვეტლანა ელბაქიძეს გარდაეცვალა დედა

ტატიანა ელბაქიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

### არბიტრაჟის უწყება

**საქმე №186-2009**

**მურმან ჯალაღონიას, ქუთაისი, ნიკეას ქ. №34/122,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი **2010 წლის 11 თებერვალს, 13 საათზე,** მისამართზე თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №50, მე-2 სართული, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“** საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო **მარინე ლომაშვილის და სხვათა** მიმართ, თანხის დაკისრების და ქონების რეალიზაციის შესახებ.

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## უმართებულო სამართალი

# კანონმდებლობას თავის ნებაზე ცვლიან

**„ვარდებით“ მოსულების პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსი ლამის ყოველდღიურად იცვლება. შემოიღეს სასჯელის კრებითობა, თითქმის გაუქმდა მოწმის ინსტიტუტი, ცოტა ხნის წინათ კი სისხლის სამართლის კოდექსის 84-ე მუხლში შევიდა დამატება, რომლის მიხედვითაც დაცვის მხარეს არა აქვს უფლება, გაეცნოს გამოძიების მასალებს, ვიდრე ის არ დასრულდება და სასამართლოს არ გადაეცემა. ეს დამატება უხეშად ეწინააღმდეგება კანონს ადვოკატის შესახებ. დაცვას არ შეუძლია საქმის ჯეროვანი გაცნობა და ფაქტის წინაშე სასამართლოში დგება.**

დამატება არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენლებმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს. მათ კონკრეტული მაგალითიც ჰქონდათ — ქურდობისთვის დაკავებული დავით ვეკუას საქმე. მისი დაკავებიდან რამდენიმე დღეში დაცვის მხარემ გამოძიებას თხოვნით მიმართა, მიეცათ მისთვის მოკვლეული მასალების ქსეროასლები. ერთ კვირაში ადვოკატებმა მიიღეს წერილობითი პასუხი, რომელიც ემყარებოდა სწორედ იმ ავადსახსენებელ 84-ე მუხლს. ასე გავიდა ერთი წელი. ადვოკატი საქმეში არ ჩაახედეს. იგი მხოლოდ სასამართლოს სხდომების დროს გაერკვა საქმის ვითარებაში მეტ-ნაკლებად. დააყენა შუამდგომლობა, რომ მიეცათ რაღაც ვადა მასალების დეტალურად გარკვევისათვის, რაც, რასაკვირველია, პროკურორის მითითებით მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. სასამართლომ ვეკუა ციხეში შეაბრუნა, ხოლო მისი დამცველი უარით გაისტუმრა.

როგორც იურისტები აღნიშნავენ, გამოძიების პერიოდში ყველა მხარე თანაბარ პირობებში უნდა იყოს, რასაც ჩვენი არა მხოლოდ სამართალდამცველები, კანონმდებლებიც კი არად აგდებენ და თავისი სურვილით განაგებენ კანონებს და ადამიანთა ბედს.

ადვოკატები იმასაც აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში მათ სრულიად იგნორირებენ, როდესაც პირდაპირ გადიან ბრალდებულზე და საპროცესო გარიგებას სთავაზობენ მას.

საინტერესოა, რომ საპროცესო გარიგებიდან შემოსული თანხის არც ერთი თეთრი არ მიდის დაზარალებულამდე (მისი არსებობის შემთხვევაშიც, აღნიშნავენ ადვოკატები.

**ზაზა ბილიხოძე**

## ზედმეტს ხომ არ იწონით?

# სხეულის მაქსიმალურად დასაშვები წონა

ამ მეთოდს ერთადერთი ავტორი არა ჰყავს და იგი არანაირ ფორმულასაც არ მოითხოვს. საჭიროა მხოლოდ გაიგო საკუთარი სიმაღლე, აიწონო და შეუდარო მონაცემები ცხრილს. მიაქციეთ ყურადღება, აქ მითითებულია არა იდეალური წონა, არამედ მაქსიმალური!

| Рост, см | 20–29 лет | | 30–39 лет | | 40–49 лет | | 50–59 лет | | 60–69 лет | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | муж. | жен. | муж. | жен. | муж. | жен. | муж. | жен. | муж. | жен. |
| 148 | 50.8 | 48.4 | 55 | 52.3 | 56.8 | 54.7 | 56 | 53.2 | 53.9 | 52.2 |
| 150 | 51.3 | 48.9 | 56.7 | 53.9 | 58.1 | 56.5 | 58 | 55.7 | 57.3 | 54.8 |
| 152 | 51.3 | 51 | 58.7 | 55 | 61.5 | 59.5 | 61.1 | 57.6 | 60.3 | 55.9 |
| 154 | 56.3 | 53 | 61.6 | 59.1 | 64.5 | 62.4 | 63.8 | 60.2 | 61.9 | 59 |
| 156 | 58.5 | 55.8 | 64.4 | 61.5 | 67.3 | 66 | 65.8 | 62.4 | 63.7 | 60.9 |
| 158 | 61.2 | 58.1 | 67.3 | 64.1 | 70.4 | 67.9 | 68 | 64.5 | 67 | 62.4 |
| 160 | 62.9 | 59.8 | 69.2 | 65.8 | 72.3 | 69.9 | 69.7 | 65.8 | 68.2 | 64.6 |
| 162 | 64.6 | 61.6 | 71 | 68.5 | 74.4 | 72.7 | 72.7 | 68.7 | 69.1 | 66.5 |
| 164 | 67.3 | 63.6 | 73.9 | 70.8 | 77.2 | 74 | 75.6 | 72 | 72.2 | 70 |
| 166 | 68.8 | 65.2 | 74.5 | 71.8 | 78 | 76.5 | 76.3 | 73.8 | 74.3 | 71.3 |
| 168 | 70.8 | 68.5 | 76.3 | 73.7 | 79.6 | 78.2 | 77.9 | 74.8 | 76 | 73.3 |
| 170 | 72.7 | 69.2 | 77.7 | 75.8 | 81 | 79.8 | 79.6 | 76.8 | 76.9 | 75 |
| 172 | 74.1 | 72.8 | 79.3 | 77 | 82.8 | 81.7 | 81.1 | 77.7 | 78.3 | 76.3 |
| 174 | 77.5 | 74.3 | 80.8 | 79 | 84.4 | 83.7 | 83 | 79.4 | 79.3 | 78 |
| 176 | 80.8 | 76.8 | 83.3 | 79.9 | 86 | 84.6 | 84.1 | 80.5 | 81.9 | 79.1 |
| 178 | 83 | 78.2 | 85.6 | 82.4 | 88 | 86.1 | 86.5 | 82.4 | 82.8 | 80.9 |
| 180 | 85.1 | 80.9 | 88 | 83.9 | 89.9 | 88.1 | 87.5 | 84.1 | 84.4 | 81.6 |
| 182 | 87.2 | 83.3 | 90.6 | 87.7 | 91.4 | 89.1 | 89.5 | 86.5 | 85.4 | 82.9 |
| 184 | 89.1 | 85.5 | 92 | 89.4 | 92.9 | 90.9 | 91.6 | 87.4 | 88 | 85.9 |
| 186 | 93.1 | 89.2 | 95 | 91 | 96.6 | 92.9 | 92.8 | 89.6 | 89 | 87.3 |
| 188 | 95.8 | 91.8 | 97 | 94.4 | 98 | 95.8 | 95 | 91.5 | 91.5 | 88.8 |
| 190 | 97.1 | 92.3 | 99.5 | 95.6 | 100.7 | 97.4 | 98.4 | 95.6 | 94.8 | 92.9 |

მაგალითი: 45 წლის ქალი იწონის 76 კილოგრამს, მისი სიმაღლეა 170 სმ. ეს სულაც არ არის ბევრი, ეს მაქსიმალურად დასაშვებზე ნაკლებია!

შემდგენელმა მედიკოსებმა გაითვალისწინეს ყველაფერი, რაც შეიძლებოდა: სქესი, ასაკი, სიმაღლე. არ შემოფარგლეს მხოლოდ წონის ქვედა ზღვარი. მაგრამ ეს გასაგებიცაა — ცხრილი გვეხმარება გავიგოთ, გვაქვს თუ არა ზედმეტი წონა და არა ის, საკმარისია თუ არა იგი. ჩვენი აზრით, ყველაზე სრულფასოვანი და გაწონასწორებული მიდგომაა იდეალური წონისადმი.

**ს.ს.ი.პ. თბილისის №154 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს 64,40 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად 2 წლის ვადით კვების ბლოკისა და კვების პროდუქტების მცირე სიმძლავრის საამქროს მოსაწყობად.** კონკურსი ჩატარდება 19 თებერვალს 15 საათზე.

მსურველებმა თებერვლამდე მიმართონ საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: **თბილისი, თ/დ; IV მ.რ., ს.ს.ი.პ. თბილისის №154 საჯარო სკოლა. ტელ: 64-70-84.**

## ანეკდოტები

მიდის მიხო ქუჩაში. ხედავს, რომ ახალგაზრდა ქალი უახლოვდება.

— ჩემს ცოლს რომ ასეთი ფეხები ჰქონდეს...
— ფიქრობს მიხო.

ცოტა გაიარა და კიდევ ერთი ლამაზი ქალი შემოხვდა.

— ოჰ, ჩემს ცოლს რომ ასეთი მკერდი ჰქონდეს...

სახლში მისულს ცოლმა გაუღო კარი.

— არ დაიჯერებ, მაგრამ მთელი გზა შენზე ვფიქრობდი! — ეუბნება მიხო.



* * *

გადამთვრალი ივანიჩი ქუჩაში მომავალ კაცს აჩერებს.

— ძმაო, სმა გიყვარს?

— სასმელს ვერ ვიტან.

— ძლივს! დამიკავე, თუ ძმა ხარ, ეს არყის ბოთლი, სანამ ფეხსაცმლის თასმებს შევიკრავდე.

* * *

— რატომ აქვთ პატარა ჩინოვნიკებს ასეთი მაღალი ხელფასები?

— ძალიან საშიში სამუშაო აქვთ. ახლახან ორი მათგანი თავის სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა.

— მართლა? რისგან?

— უსაქმურობისგან.

* * *

— ვინ არის მთვარეული?

— კაცი, რომელმაც თავისი ადგილი მზის ქვეშ ვერ იპოვა.

## წიგნი

# „მწუხრის ზეწარი“




**ეს წიგნი, რომელიც ახლახან მიიღო ქართველმა მკითხველმა, ათიოდე წლის წინათაა დაწერილი იმ გულისტკივილით, რომელიც ქართველმა ხალხმა, და არამარტო მან, განიცადა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობით.**

**ლერი მუსხელაძემ და მამუკა ვაშაკიძემ** პატარა წიგნაკად გამოსცეს ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი მხატვრულ-ლიტერატურული ჩანახატი „მწუხრის ზეწარი“, რომელიც პრეზიდენტის უკანასკნელი ღამის მათებური გააზრებაა. აქ აღწერილია სამშობლოსთვის ზვარაკად შეწირული, ღალატით, მზაკვრულად მოკლული დიდი ეროვნული მოღვაწის გოლგოთამდე გავლილი გზა, მისი უკანასკნელი ღამე, რა თქმა უნდა, ავტორთა მოსაზრებით აღწერილი, ნაფიქრალი.

იმედია, ეს წიგნაკი, რომელსაც დოკუმენტური ნაწარმოების პრეტენზია არა აქვს, კიდევ ერთხელ დააფიქრებს ქართველ ხალხს, თუ როგორ უნდა იღვაწოს ერისათვის შეწირულმა პატრიოტმა, ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, მამულიშვილმა.

**ნიკა ქურდაძე**

## ხარკოვის ბარომეტრი

*შარშან შემოდგომაზე გორშენინის ინსტიტუტის ხარკოვის ფილიალმა მოაწყო ექსპრეს-გამოკითხვა სარეიტინგო პროგრამის — „ხარკოვის ბარომეტრი“ ჩარჩოებში. ჩამოთვლილ ისტორიულ პიროვნებათაგან ვის მისცემდით ხმას პრეზიდენტის არჩევნებზე? აი შედეგები:*

ბოგდან ხმელნიცკი — 19,2 პროცენტი
პეტრე I — 17,8
იოსებ სტალინი — 10,5
მიხაილო გრუშევსკი — 8,2
ვლადიმერ ლენინი — 5,3
ლეონიდ ბრეჟნევი — 4,1
ივან მაზეპა — 3,8
სტეფან ბანდერა — 2,4
ნაპოლეონ ბონაპარტი — 2,3
ნიკიტა ხრუშჩოვი — 2,3
ერნესტო ჩე გევარა — 1,4
ადოლფ ჰიტლერი — 0,8
აუგუსტო პინოჩეტი — 0,8
ნესტორ მახნო — 0,6
სიმონ პეტლიურა — 2,8
მიჭირს პასუხის გაცემა — 20,4

*ვფიქრობთ, მკითხველი თავად გამოიტანს დასკვნებს.*

## განცხადება

**2010 წლის 24 თებერვალს 15 საათზე შედგება სააქციო საზოგადოება თბილისის №1 „ავეჯის სახლის“ აქციონერთა საერთო კრება მისამართზე: მარშალ გელოვანის გამზირი №36.**

**დღის წესრიგი:**

01. 2009 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები და მომავალი ამოცანები;
2. მოგების განაწილების შესახებ დამტკიცების მიღება;
3. დირექციისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.

**სამეთვალყურეო საბჭო**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.